

უსაფრთხოების სისტემების განმარტებითი ლექსიკონი

წინასიტყვაობა

თანამედროვე სამყაროში, უსაფრთხოების სისტემები წარმოადგენს ბიზნესების, სახელმწიფო სტრუქტურების და კერძო საკუთრების დაცვის აუცილებელ ელემენტს. თუმცა, ქართულ ენაზე დღემდე არ არსებობდა პროფესიული, სტანდარტიზებული ტერმინოლოგია, რომელიც ზუსტად და სრულყოფილად ასახავდა დაცვითი სისტემების სფეროს სპეციფიკას.

წინამდებარე უსაფრთხოების სისტემების განმარტებითი ლექსიკონი არის პირველი მცდელობა ქართულ ენაზე ჩამოყალიბდეს ერთიანი ტექნიკური ენა — გასაგები როგორც უსაფრთხოების სპეციალისტებისთვის, ასევე ბიზნესის, იურიდიული სფეროს და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ეს ლექსიკონი წარმოადგენს პირველ მცდელობას, ქართულ ენაზე ჩამოყალიბდეს უსაფრთხოების სისტემების პროფესიული ტერმინოლოგია.

ვიციტ, რომ მსგავსი დიდი საქმის შესრულებისას თავიდან ვერ ავირიდებთ შეცდომებსა და ხარვეზებს.

სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც წვლილს შეიტანს ამ ლექსიკონის დახვეწასა და სრულყოფაში — გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი რეკომენდაციები, შენიშვნები და შემოთავაზებები, რათა ერთად გავხადოთ ეს რესურსი კიდევ უფრო ზუსტი, სრულყოფილი და ღირებული მთელი სფეროს განვითარებისთვის.

მადლობას ვუხდით ყველა პროფესიონალს, კოლეგას და პარტნიორს, ვინც მხარს უჭერს ამ მისიის განხორციელებას და თავისი ცოდნითა და გამოცდილებით აძლიერებს ქართულ უსაფრთხოების სფეროს.

ლექსიკონი მოიცავს:

- დაცვის, სიგნალიზაციის, ვიდეო თვალთვალის, დაშვების კონტროლის, პულტიტ დაცვის, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის და სხვა მიმართულებების ძირითად ტერმინებსა და განმარტებებს;
- ახალ ტექნოლოგიებზე მორგებულ ცნებებს, როგორიცაა ინტეგრირებული სისტემები, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია უსაფრთხოებაში და ავტომატური თვით დიაგნოსტიკა;
- საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე ადაპტირებულ ქართულ ტერმინოლოგიას.

ლექსიკონის მიზანია:

- ჩამოაყალიბოს საქართველოში უსაფრთხოების სფეროში პროფესიული კომუნიკაციის ერთიანი სტანდარტი;
- გაამარტივოს ტექნიკური და სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადება;
- ხელი შეუწყოს სპეციალისტების, კომპანიების და სამთავრობო უწყებების კოორდინირებულ მუშაობას;
- დაეხმაროს ტრენინგების, სასწავლო პროგრამების და პროფესიული სერტიფიცირების ხარისხიან ორგანიზებას.

ლექსიკონი განკუთვნილია ყველა იმ პირისა და ორგანიზაციისთვის, ვინც ეძებს სანდო, სრულყოფილ და თანამედროვე ქართულ რესურსს უსაფრთხოების სისტემების შესახებ.

ავტორი:

თორნიკე ჯოჯუა დირექტორი | Magistri Security

პოლკოვნიკი თადარიგში | 20 წლიანი გამოცდილება უსაფრთხოების სფეროში

1. გამოყენების სფერო

ეს სტანდარტი ასახავს დაცვას და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ტერმინებს, რათა შეიქმნას საერთო ტექნიკური ენა. მისი მიზანია სხვადასხვა ტიპის ობიექტების, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრების, უსაფრთხოების სისტემების და მეთოდოლოგიების ერთიანი გაგება. ადგენს ტერმინებსა და განმარტებებს ტექნიკური დაცვისა და ანტიკრიმინალური დაცვის სისტემებისა და საშუალებების სფეროში.

დოკუმენტი ითვალისწინებს ტერმინოლოგიის გამოყენებას ოფიციალურ სტანდარტებში, სახელმძღვანელოებში და სხვა მასალებში, რომლებიც ეხება დაცვის, სახანძრო სიგნალიზაციის, განგაშის, ტერორიზმის და დანაშაულის პრევენციის სფეროებს.

ამ სტანდარტში დადგენილი ტერმინები სავალდებულოა გამოსაყენებლად ყველა სახის დოკუმენტაციაში, სამეცნიერო-ტექნიკურ, სასწავლო და საცნობარო ლიტერატურაში, რომელიც ეხება ტექნიკური დაცვისა და ანტიკრიმინალური დაცვის სისტემებსა და საშუალებებს.

შენიშვნა: ამ სტანდარტის გამოყენებისას რეკომენდებულია, შემოწმდეს **აღნიშნული კანონების** უახლესი განახლებები. თუ აღნიშნული კანონები შეიცვალა ან გაუქმდა, უნდა იხელმძღვანელოთ მათი უახლესი რედაქციებით. ცვლილებების შემთხვევაში, საჭიროა შეაფასოთ, როგორ ახდენს ეს გავლენას სტანდარტის გამოყენებაზე.

ეს სტანდარტი არ ვრცელდება სისტემებზე, რომლებიც გამოიყენება სამხედრო ან საიდუმლო ობიექტებზე, თუ ამის შესახებ განსაკუთრებული მოთხოვნები არსებობს.

2. ტერმინები და განმარტებები

GSM-სიგნალიზაცია — ობიექტების დაცვა GSM-ქსელების გამოყენებით განგაშის შეტყობინებების გადასაცემად.

IP ქსელით გადაცემა - სიგნალის გადაცემის მეთოდი, რომელიც იყენებს კომპიუტერულ IP ქსელებს მონაცემთა ტრანსპორტირებისთვის.

ადამიანების დათვლის სისტემა

ინტელექტუალური მოდული, რომელიც ავტომატურად ითვლის კამერის ხედვის არეში შემავალ ან გამავალ ადამიანებს.

ავარიული გათავისუფლების სისტემა

მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბლოკირებული გზების, კარების ან ბარიერების სწრაფ განბლოკვას საგანგებო სიტუაციების დროს.

ავარიული გასასვლელი

გასასვლელი, რომელიც განკუთვნილია ობიექტიდან პირების სწრაფი ევაკუაციისთვის საგანგებო სიტუაციებში.

ავარიული სარემონტო მომსახურება

სასწრაფო სარემონტო სამუშაოები დაცვის სისტემების მწყობრიდან მოულოდნელი გამოსვლის შემთხვევაში.

ავარიული სიგნალი

სიგნალი, რომელიც გამოიყენება საგანგებო შემთხვევებში სწრაფი ევაკუაციის ან განსაკუთრებული ზომების გასატანად.

ავტომატური დამცავი მოდული – დაცვის სისტემა, რომელიც საფრთხის გამოვლენისთანავე

ავტომატურად აყენებს ფიზიკურ დაბრკოლებას. მისი ფუნქციაა სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფა, პერიმეტრის უსაფრთხოების გამყარება და შესაძლო საფრთხეების ეფექტური პრევენცია ოპერატიულ რეჟიმში.

ავტომატური დაშვების რეგულირების მოდულები

დაშვების კონტროლის სისტემები, რომლებიც ავტომატურად ცვლიან დაშვების პოლიტიკას საფრთხის ცვლილების მიხედვით.

ავტომატური რეაგირების გადაწყვეტილებების მოდული (Automated Decision Module)

ინტელექტუალური სისტემა, რომელიც განსაზღვრავს რეაგირების საუკეთესო სტრატეგიას საფრთხის ტიპის და დონის საფუძველზე.

ავტომატური რეაგირების სცენარების პროგრამირება

წინასწარ განსაზღვრული ალგორითმების შექმნა, რომლებიც ავტომატურად ირთვება კონკრეტული ინციდენტის დაფიქსირებისას.

ავტომატური საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემა

დაცვითი (დაცვით-სახანძრო) სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც ავტომატურად გადადის ნორმალური მდგომარეობიდან გათიშულ მდგომარეობაში და პირიქით პასუხისმგებელი პირის, მომხმარებლის, მფლობელის ან მცხოვრების მართვის ქვეშ.

ავტომატური უსაფრთხოების სისტემა

სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს ადამიანის მინიმალური ჩარევის გარეშე და ახორციელებს დაცვით პროცესებს ავტომატურად.

ავტონომიური GSM-დაცვა — GSM-ქსელის საკომუნიკაციო არხის გამოყენებაზე დაფუძნებული ავტონომიური დაცვის სისტემა. სიგნალიზაციის ბლოკი გადასცემს განგაშის შეტყობინებებს ობიექტის მფლობელის ტელეფონზე, რის შემდეგაც მფლობელი თავად იღებს შემდგომ ზომებს შეღწევის საწინააღმდეგოდ.

ავტონომიური დაცვა: ობიექტის დაცვა, რომელსაც აქვს მხოლოდ შეტყობინების ფუნქცია, მაგრამ არ ქმნის საგანგებო სიგნალს.

ავტორიზაცია -პროცესი, რომლის მეშვეობითაც დგინდება პიროვნების ან ობიექტის დაშვების უფლება კონკრეტულ ზონაში.

ავტორიზებული მომხმარებელი

პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ლეგიტიმური წვდომის უფლება კონკრეტულ სისტემაზე ან ობიექტზე.

აკრძალული ზონა: სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორია ობიექტის პერიმეტრზე, რომელიც განკუთვნილია დაცვის პერსონალის მიერ ობიექტის დაცვის ამოცანების შესასრულებლად.

აკრძალული ზონის დამცავი ბარიერი

დამცავი სისტემა, რომელიც იცავს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზონებს უნებართვო წვდომისგან.

ალტერნატიული გასასვლელი

დამატებითი ან სარეზერვო გასასვლელი, რომელიც გამოიყენება ძირითად გასასვლელზე წვდომის შეუძლებლობის შემთხვევაში.

ალტერნატიული ევაკუაციის მარშრუტები

დამატებითი ან სარეზერვო გზები ევაკუაციისთვის ძირითადი გასასვლელების შეუძლებლობის შემთხვევაში.

ანალოგური ვიდეო კამერა

კამერა, რომელიც გადასცემს სიგნალს ანალოგური ფორმატით (მაგალითად, CVBS, HD-CVI, HD-TVI, AHD).

ანტიდივერსიული ბარიერი – დაცვითი სტრუქტურა, რომელიც განკუთვნილია ობიექტის დასაცავად დივერსიული და სეისმური აქტივობისაგან. მისი მიზანია უზრუნველყოფა მაღალი დონის უსაფრთხოების და პოტენციური საფრთხეების პრევენცია, რაც მოიცავს როგორც ადამიანის მიერ განზრახ მოქმედებებს, ასევე ბუნებრივ მოვლენებს.

ანტირადიაციული ბარიერი

დაცვითი კონსტრუქცია, რომელიც განკუთვნილია რადიოაქტიური ზემოქმედებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად. იგი უზრუნველყოფს ადამიანებისა და ობიექტების უსაფრთხოებას, რადიოაქტიური გამოსხივების წინააღმდეგ დამცავი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ანტიტერორისტული ბარიერი

მძლავრი დაბრკოლება, რომელიც შექმნილია ავტომობილების ძალადობრივი შეღწევის, აფეთქებების ან სხვა სახის თავდასხმის წინააღმდეგ.

არაკანონიერი წვდომის მცდელობების გამოვლენა

მოწყობილობის გამოყენება, რომელიც ამოიცნობს სისტემაში ან მის ნაწილში არაკანონიერი წვდომის მცდელობას.

არაკანონიერი წვდომის მცდელობებისგან დაცვა

ელექტრული ან მექანიკური საშუალებების გამოყენება არაკანონიერი წვდომის აღკვეთის მიზნით.

არაკანონიერი წვდომის შეტყობინება

შეტყობინება, რომელიც იქმნება არაკანონიერი წვდომისგან დაცვის მოწყობილობის აქტივაციის დროს.

არასანქცირებული დაშვება

დაშვების განხორციელება შესაბამისი უფლებამოსილების ან კონტროლის გარეშე.

არასაცხოვრებელი ფართი

საცხოვრებელი ფონდისგან გამოყოფილი ფართი, რომელშიც აკრძალულია მოქალაქეთა მუდმივი ცხოვრება ან რეგისტრაცია.

არასტანდარტული სიტუაცია: ობიექტის დაცვის დარღვევის მდგომარეობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული რეგლამენტით.

არმირებული ბეტონის კედელი

მაღალი სიმტკიცის არმირებული ბეტონის კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება ობიექტის პერიმეტრის ან სტრატეგიული ზონების დასაცავად.

არმირებული მავთულხლართი ლენტი (AKJI)

ლითონის ლენტი ორმხრივი სიმძაფრის მქონე წვეტიანი კბილებით, რომელიც არმირებულია მაღალი სიმტკიცის მავთულით და გამოიყენება ფიზიკური ბარიერის შესაქმნელად.

არმირებული წახვეული ლენტი (ACKJI)

არმირებული მავთულხლართი, რომელიც ფორმირებულია წაგრძელებულ, წახვეულ სტრუქტურად, მაღალი მდგრადობის ფიზიკური ბარიერის შესაქმნელად.

არხის ავტომატური გადართვა

სისტემის შესაძლებლობა ავტომატურად გადავიდეს სარეზერვო არხზე ძირითადი არხის წყვეტის შემთხვევაში.

არხის დატვირთვა - საგანგაშო არხის გადატვირთვის მდგომარეობა, როდესაც ერთდროულად გადაცემული სიგნალების რაოდენობა აჭარბებს არხის გამტარიანობას.

აუდიტის კრიტერიუმები

სტანდარტები და მოთხოვნები, რომელთა შესაბამისად ფასდება ობიექტის უსაფრთხოების სისტემა.

აუდიტის მეთოდოლოგია

შესწავლის, დაკვირვების, დოკუმენტაციის ანალიზის და პერსონალთან ინტერვიუს მეთოდები.

აუდიტის პროგრამა

დოკუმენტი, რომელიც აღწერს აუდიტის მიზნებს, ამოცანებს, ვადებს და შერჩევის სტრატეგიებს.

აუდიტის შეჯამება და ანგარიშგება

დეტალური ანგარიშის მომზადება, რომელიც აჯამებს გამოვლენილ ნაკლოვანებებს, რეკომენდაციებს და პრიორიტეტულ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს.

აფეთქების ენერგიის შთანთქმის სისტემა

სპეციალური კონსტრუქცია ან მასალა, რომელიც განკუთვნილია აფეთქების ენერგიის ზემოქმედების შემცირებისთვის დაცულ ობიექტზე. მისი მიზანია ზიანის შემცირება, სტრუქტურული სტაბილურობის შენარჩუნება და უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფა კრიტიკულ სიტუაციებში.

აფეთქების რისკის შემცირების ბარიერი

დაცვითი სისტემა, რომელიც ფიზიკურად ზღუდავს აფეთქების ეპიცენტრის ზემოქმედების ზონას, რაც უზრუნველყოფს შენობებისა და პერიმეტრის დაცვას. მისი გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს აფეთქებისგან გამოწვეულ ზიანს.

აქტიური ოპტიკურ-ელექტრონული დაცვითი (დაცვით-სახანძრო) დეტექტორი

დეტექტორი, რომელიც ქმნის შეტყობინებას შეღწევის (შედწევის მცდელობის) ან ხანძრის შესახებ, ოპტიკური გამოსხივების ენერგიის ცვლილების შედეგად.

აქტიური ოპტიკურ-ელექტრონული დაცვითი (დაცვით-სახანძრო) დეტექტორი
დეტექტორი, რომელიც ქმნის შეტყობინებას შეღწევის (შეღწევის მცდელობის) ან ხანძრის შესახებ, ოპტიკური გამოსხივების ენერგიის ცვლილების შედეგად.

აღმოჩენის ზონა

ზონა, სადაც დეტექტორი გასცემს საგანგაშო შეტყობინებას სტანდარტული ობიექტის გადაადგილების შემთხვევაში.

აღმოჩენის ზონის საზღვარი

პირობითი ხაზი, რომელიც აერთიანებს იმ წერტილებს, რომლებიც ყველაზე დიდ რადიუსზე მდებარეობს ყველა მიმართულებით და სადაც დეტექტორი გასცემს შეღწევის შეტყობინებას სტანდარტული ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში.

აღჭურვილობის დიაგნოსტიკა

სპეციალური მოწყობილობების და პროგრამების გამოყენება უსაფრთხოების სისტემების ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკისთვის.

ბარათების მენეჯმენტის სისტემა

პროგრამული პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს დაშვების ბარათების გამოცემას, მართვას და გაუქმებას.

ბარათზე დაფუძნებული წვდომის პუნქტი

დაშვების კონტროლის სისტემა, რომელიც აერთიანებს ბარათით ავტორიზაციას და ფიზიკურ ბარიერს.

ბარათის/ბრელოკის ავტორიზაცია

სპეციალური ელექტრონული ბარათის ან ბრელოკის გამოყენება დაშვების გასაგრძელებლად.

ბასრ წვერიანი ღობე

ღობე, რომლის ზედა ნაწილი აღჭურვილია ბასრი წვერიანი ელემენტებით არასანქცირებული გადამღრმის შესაფერხებლად.

ბიოლოგიური საფრთხის დაცვის სისტემა – სპეციალიზებული სისტემაა, რომელიც შექმნილია ობიექტის ბიოლოგიური აგენტების გაჟონვის ან შეღწევის პრევენციისთვის. იგი უზრუნველყოფს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, რისკების დროულ იდენტიფიცირებას და ოპერატიული პრევენციული ზომების მიღებას, რათა თავიდან აიცილოს პოტენციური ზიანი.

ბიომეტრიული დაშვების სისტემები

სისტემები, რომლებიც იყენებენ პიროვნების ბიომეტრიულ მონაცემებს (სახე, თითის ანაბეჭდი, ბადურის სკანირება) დაშვების კონტროლისთვის.

ბიომეტრიული იდენტიფიკაცია

პიროვნების უნიკალური ბიომეტრიული მონაცემების (თითის ანაბეჭდი, სახის სკანირება და სხვ.) გამოყენება იდენტიფიკაციისთვის.

ბიომეტრიული საკეტი

საკეტი, რომელიც იხსნება ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე (თითის ანაბეჭდი, სახის სკანირება და სხვა).

ბლოკირების ღონისძიება

გატარებული ზომები, რომლებიც ზღუდავენ დაშვებას ობიექტზე ან ინფორმაციაზე კრიტიკულ სიტუაციებში.

ბრტყელი დამცავი ბარიერი (B/ДБ)

პლატფორმის მსგავსი ბარიერი, რომელიც შექმნილია არმირებული ლენტისგან და გამოიყენება ღობეების, პერიმეტრის ან სპეციალური ბარიერების გასამაგრებლად.

გადაცემის ავტორიზაცია - წესების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება სიგნალის გამგზავნიდან მიმღებამდე თითოეული წვდომის და ცვლილების კონტროლი.

გადაცემის არხის სარეზერვო გეგმა - წინასწარ შემუშავებული ღონისძიებების გეგმა არხის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში სისტემის უწყვეტობის შესანარჩუნებლად.

გადაცემის კონტროლი - სიგნალის გადაცემის (ტრანსპორტირების) პროცესის მონიტორინგი, შეფერხებების და დარღვევების გამოვლენის მიზნით.

გადაცემის მონიტორინგის სისტემა - ტექნიკური სისტემა, რომელიც აკონტროლებს სიგნალის გაგზავნის, მიღების, შეფერხების და ხარისხის პარამეტრებს.

გადაცემის პროტოკოლი - წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ხდება სიგნალის შეფუთვა, გადაცემა და მიღება კომუნიკაციის არხზე.

გამაფრთხილებელი მოწყობილობა

ტექნიკური საშუალება, რომელიც შორ მანძილზე ადამიანებს აფრთხილებს შეღწევის ან ხანძრის შესახებ.

განგაშზე დაფუძნებული ჩაწერა

ჩაწერის რეჟიმი, როდესაც სისტემა ავტომატურად იწყებს ვიდეო ჩანაწერს განგაშის ან დარღვევის სიგნალის მიღების შემთხვევაში.

განგაშზე პირველადი რეაგირება

სწრაფი და ოპერატიული ქმედებები, რომელიც ხორციელდება განგაშის სიგნალის მიღებისთანავე.

განგაშზე რეაგირების დრო - დროის პერიოდი განგაშის სიგნალის მიღებიდან რეაგირების ფაქტობრივ დაწყებამდე.

განგაშის ავტომატური მართვა - სისტემის შესაძლებლობა განახორციელოს წინასწარ განსაზღვრული ქმედებები განგაშის მიღებისთანავე ადამიანური ჩარევის გარეშე.

განგაშის ავტომატური სიგნალიზაცია მობილურ აპლიკაციაში

სერვისი, რომელიც ოპერატორს და რეაგირების ჯგუფს მობილურად აწვდით განგაშის სიგნალებს და ინფორმაციას.

განგაშის ალგორითმული დამუშავება - განგაშის სიგნალების ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების ავტომატიზებული მეთოდი, რომელიც ეფუძნება პროგრამულად განსაზღვრულ წესებს.

განგაშის დონე -უსაფრთხოების მდგომარეობის ხარისხობრივი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს საფრთხის რეალურ ან მოსალოდნელ დონეს.

განგაშის ეტაპობრივი დამუშავება – სიგნალების დამუშავების სტანდარტი, რომელიც სტრუქტურირებულია და მოიცავს სამი ძირითადი ეტაპს:

პირველადი რეაგირება – დაუყოვნებლივი მოქმედებები სიგნალის მიღებისას, სიტუაციის საწყისი შეფასებისთვის.

დამატებითი რეაგირება – სიღრმისეული ანალიზი და დამატებითი ოპერაციების განხორციელება საჭიროების შემთხვევაში.

განგაშის კლასიფიკაცია - განგაშის სიგნალების კლასიფიკაცია საფრთხის დონის მიხედვით ოპტიმალური რეაგირების უზრუნველსაყოფად.

განგაშის კლასიფიკაციის სისტემა - სიგნალების კლასიფიკაციის მექანიზმი საფრთხის დონეზე დაყრდნობით შესაბამისი რეაგირების სისწრაფის განსაზღვრად.

განგაშის მართვის სისტემა - ტექნიკური და პროგრამული საშუალებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს განგაშის სიგნალების მიღებას, დამუშავებას და შესაბამისი რეაგირების განხორციელებას.

განგაშის მართვის ცენტრი - ფიზიკური ან ვირტუალური ადგილი, სადაც ხორციელდება მიღებული განგაშის სიგნალების მონიტორინგი და რეაგირების გადაწყვეტილებების მიღება.

განგაშის მიმღები პულტი - მოწყობილობა ან პროგრამული სისტემა, რომელიც იღებს განგაშის სიგნალებს და გადასცემს ოპერატორს ოპერატიული რეაგირების დასაწყებად.

განგაშის მონაცემების ავტომატური გადანაწილება – სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული სიგნალების ოპერატიულ ანალიზს და მათ ავტომატურ გადანაწილებას ახლომდებარე და ხელმისაწვდომ მობილურ ჯგუფებზე. მისი მიზანია რეაგირების სისწრაფისა და ეფექტურობის მაქსიმიზაცია კრიზისულ სიტუაციებში.

განგაშის სიგნალი -ავტომატურად ან ხელით გენერირებული შეტყობინება, რომელიც მიუთითებს დარღვევაზე ან საფრთხის არსებობაზე დაცულ ზონაში. იქმნება დაცვის (სახანძრო, საგანგებო) სიგნალიზაციის ტექნიკური საშუალებებით საფრთხის არსებობისას.

განგაშის სიგნალიზაცია: სისტემა, რომელიც განკუთვნილია საფრთხის აღმოჩენისა და სიგნალიზაციისთვის.

განგაშის სიგნალიზაციის ამოქმედებაზე გასვლა — კერძო დაცვის სწრაფი რეაგირების ჯგუფის გამგზავრება სიგნალზე, რომელიც მიღებულია განგაშის ღილაკით აღჭურვილი ობიექტიდან.

განგაშის სიგნალის არქივაცია - მიღებული სიგნალების შენახვის პროცესი, რაც საშუალებას იძლევა მოგვიანებით მათი ანალიზი და გამოძიება.

განგაშის სიგნალის დამუშავება - პროცესი, რომლის დროსაც ხდება მიღებული სიგნალის ანალიზი, კლასიფიკაცია და შესაბამისი რეაგირების დაწყება.

განგაშის სიგნალის ხელახალი გენერაცია - სიგნალის ხელახალი შექმნა და გაგზავნა იმ შემთხვევაში, თუ პირველი გაგზავნა წარუმატებლად განხორციელდა.

განგაშის სისტემის სატესტო ამოქმედება

საგანგებო სიგნალიზაციის სისტემის ხელოვნურად გამოწვეული სცენარების ტესტირება.

განგაშის სკრინინგის სისტემა – ფილტრაციის მექანიზმი, რომელიც პირველ ეტაპზე ამოიცნობს და აცილებს აშკარა ცრუ განგაშებს. სისტემა გამოიყენება ოპერატიულობის გაზრდისა და რესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით, რათა რეაგირება მოხდეს მხოლოდ რეალურ საფრთხეებზე.

განგაშის სცენარი - წინასწარ განსაზღვრული მოქმედებების სქემა, რომელიც გამოიყენება კონკრეტული სახის საფრთხეზე რეაგირებისას.

განგაშის ღილაკი (განგაშის სიგნალიზაციის ღილაკი,) — ტექნიკური საშუალება, რომელიც განკუთვნილია საფრთხის, გაუთვალისწინებელი სიტუაციის არსებობისას განგაშის სიგნალის გასაგზავნად დაცვის ორგანიზაციის პულტზე და დაცვის თანამშრომლების გამოსაძახებლად. (შეიძლება იყოს სტაციონარული ან მობილური).

განგაშის შემთხვევის ჟურნალი

დოკუმენტური ჩანაწერი, რომელიც ასახავს ყველა მიღებულ სიგნალს, გატარებულ ზომებს და რეაგირების შედეგებს.

განგაშის შეტყობინება

სისტემის მიერ შექმნილი შეტყობინება საგანგაშო მდგომარეობის დროს.

განგაშის შეტყობინება: შეტყობინება, რომელიც იქმნება დაცვის (სახანძრო, საგანგებო) სიგნალიზაციის ტექნიკური საშუალებებით საფრთხის არსებობისას.

განგაშის ხელახლა გადასამოწმებელი პროცედურა

სტანდარტული პროცედურა, რომლის მიხედვითაც ოპერატორი ამოწმებს სიგნალის სისწორეს, რათა თავიდან აირიდოს ცრუ განგაშზე რეაგირება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტი: ტექნოგენური, ბუნებრივი ან შერეული ობიექტი, რომელიც ექვემდებარება კრიმინალური საფრთხის ან საგანგებო სიტუაციების რისკს.

განსაკუთრებული საფრთხის შემცველი ობიექტი: ობიექტი, სადაც გამოიყენება ან ინახება რადიოაქტიური, ასაფეთქებელი, ქიმიური ან ბიოლოგიური საშიში ნივთიერებები, რაც ქმნის რეალურ საფრთხეს ადამიანების სიცოცხლისა და გარემოსთვის.

გარე აკრძალული ზონა - ტერიტორია, რომელიც ესაზღვრება დაცულ ობიექტს და რომლის დათმობაც აკრძალულია, გამოიყენება როგორც დამატებითი დაცვის რგოლი.

გარე ზონების სპეციალური ღონისძიებების გეგმა

სტრატეგიული გეგმა განსაკუთრებული ღონისძიებების ან საფრთხის პირობებში გარე პერიმეტრის ეფექტური დაცვისთვის.

გარე პოსტი — დაცვის პოსტი, რომელიც განლაგებულია დაცული ტერიტორიის გარეთ, დაკვირვებისა და კონტროლის მიზნით.

გარემოს ზეგავლენის ფაქტორი

გარემოს ფაქტორი, რომელიც იწვევს სისტემის მცდარ სიგნალიზაციას.

გარემოს ოპტიკური სიმკვრივე

გამოსხივების შესუსტების ხარისხი კვამლით დაბინდული გარემოს გავლით.

გარემოს საშიში ფაქტორი

გარემოს ფაქტორი, რომელიც იწვევს სისტემის დროებით გაუმართავ მდგომარეობაში გადასვლას.

გარემოსთან დინამიური დაცვითი სისტემები - სისტემები, რომლებიც ავტომატურად ეგუებიან ამინდის, სეზონის, დროის და სხვა გარემო პირობების ცვლილებას.

გასასვლელის კონტროლი - დაცვის პროცედურა, რომლის მიზანია ობიექტის დატოვების პროცესის რეგისტრაცია და კონტროლი.

გასვლის დაყოვნება

დრო, რომელიც ესაჭიროება პირს ობიექტის სიგნალიზაციაზე დასაყენებლად და ბოლო შესასვლელი კარის დასაკეტად.

გატეხვა (ვიზუალური ან ფიზიკური)

დაცული ან დაბლოკილი სივრცის იძულებითი გახსნის მცდელობა ფიზიკური დაზიანებით ან ტექნიკური ზემოქმედებით.

გლობალური სტანდარტების ქართულ რეალობასთან თავსებადობა. გულისხმობს

საერთაშორისო რეგულაციების და ინოვაციური მიდგომების ადგილობრივ კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან მოქნილად და ეფექტურად ინტეგრაციას.

დაბალი რისკის ზონა C ტიპის ზონა - ზონა, სადაც დაშვებულია შედარებით თავისუფალი გადაადგილება, მინიმალური კონტროლით.

დაბალი ხილვადობის დაცვის სისტემა – დაცვის სისტემა, რომელიც სპეციალურად შექმნილია იმისთვის, რომ იყოს მინიმალურად ვიზუალურად შესამჩნევი. იგი ორგანულად ინტეგრირდება ლანდშაფტის დიზაინში, რითაც უზრუნველყოფს ეფექტურ დაცვას, მდგრადობას და პერიმეტრის სისუფთავე ესთეტიკას.

დაზიანებისადმი მდგრადობა - საკეტის ან სხვა დაცვის ელემენტის კონსტრუქციული მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მის წინააღმდეგობის დონეს გატეხვის მიმართ (სტანდარტული კლასიფიკაციებით).

დაკარგული ობიექტის გამოვლენა - სისტემა, რომელიც აფიქსირებს ობიექტის მოულოდნელ გაუჩინარებას კამერის ხედვიდან.

დალასის გასაღები (Touch Memory)

პირადი ან საერთო გასაღები, რომელიც გამოიყენება ობიექტის სიგნალიზაციაზე დასაყენებლად და მოსახსნელად.

დამრღვევი — პირი, რომელმაც არასანქცირებულად შეაღწია (ან ცდილობს შეაღწევას) დაცულ ობიექტზე შემკვეთის (ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის) ნებართვის გარეშე, აგრეთვე ჩაიდინა (ან ცდილობს ჩადენას) უკანონო ქმედებები დაცული ობიექტის, ქონების ან პერსონალის წინააღმდეგ. ქმნის კრიმინალურ საფრთხეს დაცული ობიექტის ან ქონების მიმართ.

დამცავი ჩაფხუტები

ადამიანის თავის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები დარტყმისგან.

დასაქმების სამართლებრივი რეგულაციები დაცვის სფეროში - შრომითი სამართლის მოთხოვნები დაცვის პერსონალის დაქირავების, შრომითი ხელშეკრულებების და შრომის პირობების შესახებ.

დასაშვები ხელისშემშლელი ფაქტორი: ფაქტორი, რომელიც არ იწვევს დაცვის ტექნიკური საშუალების ფუნქციონირების დარღვევას და არ აფერხებს მისი ოპტიმალური მუშაობის პროცესს

დასაცავი ზონა

დაცული ზონა, რომელსაც აკონტროლებს სახანძრო ან დაცვით-სახანძრო სიგნალიზაციის ხაზი და აღჭურვილია ავტომატური სახანძრო ჩაქრობის საშუალებებით.

დაუშვებელი ზონა

ტერიტორია ან სივრცე, რომელზეც წვდომა სრულიად აკრძალულია უცხო პირებისთვის შესაბამისი წესებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

დაუშვებელი ქმედება – ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ობიექტის უსაფრთხოების წესებს და ქმნის საფრთხეს დაცული ზონისთვის ან მის ფუნქციონირებას.

დაუშვებელი ხელისშემშლელი ფაქტორი – ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის დაცვის ტექნიკური საშუალებების ფუნქციონირებას და იწვევს მათი მუშაობის დარღვევას.

დაუცველი წვდომა – წვდომა, რომლის დროსაც დაცულია მხოლოდ მინიმალური უსაფრთხოების ზომები ან საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების დაცვა.

დაშვების ავტომატური განახლება

პიროვნების დაშვების უფლებების ავტომატური ცვლილება ან გაუქმება განსაზღვრული პირობების ან ვადის ამოწურვის შემდეგ.

დაშვების ალგორითმი

წესების და მოქმედებების თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ხდება დაშვების ნებართვის ან აკრძალვის გადაწყვეტა.

დაშვების ანალიტიკური სისტემა

პლატფორმა, რომელიც იძლევა დაშვების მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს, რისკების შეფასებას და გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციას.

დაშვების ბარათი - ფიზიკური ან ელექტრონული ბარათი, რომელიც შეიცავს პერსონალურ ინფორმაციას და გამოიყენება დაშვების ავტორიზაციისთვის.

დაშვების დროებითი ბარათი

სპეციალური ბარათი, რომელიც იძლევა შეზღუდულ დროში ან ერთჯერად დაშვებას.

დაშვების დროის ფანჯარა

დაშვების სისტემის მიერ განსაზღვრული კონკრეტული დროის ინტერვალი, როდესაც ნებადართულია ობიექტზე ან ზონაში შესვლა.

დაშვების ელექტრონული საშუალებები

ბარათები, ბიომეტრიული სკანერები, სენსორები და სხვა ელექტრონული სისტემები, რომლებიც მართავენ დაშვების პროცესს.

დაშვების ეტაპობრივი სისტემა

დაშვების მექანიზმი, რომლისასაც პიროვნება გადის მრავალ ეტაპს ან ზონას შესაბამისი ავტორიზაციის მიხედვით.

დაშვების ზონა - დაცული ტერიტორია, რომელზეც წვდომა რეგულირდება დაშვების სისტემის საშუალებით.

დაშვების კონტროლი

პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხდება პიროვნების ან ობიექტის შემოწმება და დაშვების უფლებების დადგენა.

დაშვების კონტროლის და ვიდეო თვალთვალის ინტეგრაცია

სისტემების გაერთიანება, რათა დაშვების თითოეული ფაქტი დაუკავშირდეს შესაბამის ვიდეო ჩანაწერს.

დაშვების კონტროლის პანელი

ცენტრალიზებული მოწყობილობა, რომელიც იღებს იდენტიფიკაციის მონაცემებს და იღებს გადაწყვეტილებას დაშვების უფლებაზე.

დაშვების კონტროლის რეგულაციები

საკანონმდებლო მოთხოვნები დაშვების სისტემების ორგანიზებისას კერძო და საჯარო ობიექტებზე.

დაშვების კონტროლის სცენარების ტესტირება

სხვადასხვა წვდომის სცენარების მეშვეობით სისტემის მართვის და შეზღუდვების მუშაობის შემოწმება.

დაშვების კონტროლის უნარების სწავლება

პროცედურები და ტექნოლოგიები, რომლებიც უკავშირდება ობიექტზე წვდომის მართვას და შემოწმების წესების შესრულებას.

დაშვების ლოგი – ელექტრონული ან ქაღალდის ჩანაწერი, რომელიც მოიცავს ყველა

დაშვების მცდელობის დეტალურ აღწერას, მათ შორის დროზე, ადგილისა და განხორციელების სტატუსზე.

დაშვების მართვა

წესებისა და ტექნიკური სისტემების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ უფლებამოსილი პირების დაშვებას განსაზღვრულ ზონებში.

დაშვების მექანიკური საშუალებები

საკეტები, ჭიშკრები, ბარიკადები და სხვა მექანიკური მოწყობილობები, რომლებიც ფიზიკურად ზღუდავენ დაშვებას.

დაშვების მოდული - სისტემის კომპონენტი, რომელიც პასუხისმგებელია დაშვების

მოთხოვნების გადამოწმებაზე და გადაწყვეტილების მიღებაზე.

დაშვების მონაცემთა რეზერვირება

დაშვების სისტემაში რეგისტრირებული ინფორმაციის რეგულარული კოპირება მონაცემთა დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით.

დაშვების მონაცემთა უსაფრთხოება

პიროვნული და დაშვების მონაცემების დაცვა უნებართვო წვდომისგან, დაკარგვისგან ან დაზიანებისგან.

დაშვების ნებართვა - ოფიციალური უფლება კონკრეტული პიროვნებისთვის, შევიდეს

განსაზღვრულ ზონაში.

დაშვების პოლიტიკა - წესებისა და სტანდარტების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს დაშვების მართვის პრინციპებს ორგანიზაციაში.

დაშვების რეგისტრაციის ჟურნალი

ელექტრონული ან ქაღალდის ჩანაწერი ყველა დაშვების მცდელობის, წარმატებული და უარყოფილი ფაქტების აღსაწერად.

დაშვების სამართლებრივი კომპონენტი

დაშვების სისტემაში იმ ნორმებისა და მოთხოვნების გათვალისწინება, რომლებიც განსაზღვრულია შრომითი, ადმინისტრაციული ან უსაფრთხოების კანონმდებლობით.

დაშვების სისტემის ავარიული განხილვის პროცედურა

სპეციალური პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა კრიტიკულ სიტუაციებში სისტემის ან ობიექტის ავარიული გახსნა.

დაშვების სისტემის ავარიული მოდუსი

სისტემის მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი ტექნიკური ავარიის, ენერგიის დაკარგვის ან ქსელის შეფერხების პირობებში.

დაშვების სისტემის ავტომატური განახლება (Firmware Update)

სისტემის აპარატურული პროგრამული ნაწილის ავტომატური განახლების პროცესი ფუნქციონალის გაუმჯობესებისთვის.

დაშვების სისტემის ანტივანდალური დაცვა

ტექნიკური და კონსტრუქციული ზომები, რომლებიც იცავს დაშვების სისტემის მოწყობილობებს მიზანმიმართული ფიზიკური დაზიანებისგან.

დაშვების სისტემის არქიტექტურა

დაშვების მექანიზმების და მათ შორის არსებული კავშირების სტრუქტურული ორგანიზაცია.

დაშვების სისტემის აუდიტი

დაშვების სისტემის დეტალური შემოწმება ეფექტურობის, შესაბამისობის და უსაფრთხოების კრიტერიუმების მიხედვით.

დაშვების სისტემის განახლება

ტექნიკური და პროგრამული ცვლილებების განხორციელება დაშვების სისტემაში ფუნქციონალის გაფართოების ან უსაფრთხოების დონის გაზრდის მიზნით.

დაშვების სისტემის განხილვის სცენარი

წინასწარ განსაზღვრული მოქმედებების ალგორითმი, რომელიც იძლევა დაცულ ზონაზე შეზღუდვების მოხსნას განსაზღვრულ შემთხვევებში.

დაშვების სისტემის დროებითი შეჩერება

დაშვების სისტემის ფუნქციონირების დროებითი შეჩერების პროცედურა ტექნიკური სამუშაოების ან კრიტიკული საფრთხის გამო.

დაშვების სისტემის თვითდიაგნოსტიკა

სისტემის ფუნქცია, რომელიც ავტომატურად ამოწმებს საკუთარ მდგომარეობას და აფიქსირებს ტექნიკურ გაუმართაობებს.

დაშვების სისტემის ინციდენტების მართვა

პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს დაშვების პროცესში გამოვლენილი დარღვევების ან უკმარისობების იდენტიფიკაციას და კორექციას.

დაშვების სისტემის ინციდენტების რეაგირება

მოქმედებების ალგორითმი ტექნიკური ან უსაფრთხოების ინციდენტების დაფიქსირების შემთხვევაში.

დაშვების სისტემის კოდირებული კომუნიკაცია

სიგნალების და მონაცემთა გადაცემის პროცესის დაცვა დაშიფვრის მექანიზმების გამოყენებით.

დაშვების სისტემის მობილური მართვა

დაშვების პროცესების დისტანციური მართვა მობილური აპლიკაციების ან ვებ-პლატფორმების საშუალებით.

დაშვების სისტემის მოდულური გაფართოება

სისტემის შესაძლებლობა ეტაპობრივად დამატების ახალი მოდულების ან ფუნქციონალის გარეშე სისტემის ძირითადი სტრუქტურის შეცვლის.

დაშვების სისტემის მომხმარებლის როლების მართვა

სისტემაში სხვადასხვა მომხმარებლებისთვის როლების განსაზღვრა და შესაბამისი უფლებების მინიჭება.

დაშვების სისტემის ოპტიმიზაცია

დაშვების პროცესების, ტექნიკური გადაწყვეტების და მართვის პოლიტიკის გაუმჯობესება ეფექტურობის და უსაფრთხოების გაზრდის მიზნით.

დაშვების სისტემის პერსონალის მართვა

დაშვების სისტემაში უფლებამოსილი თანამშრომლების მონაცემების რეგისტრაცია, შეცვლა და მართვა.

დაშვების სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება

დაშვების მართვის პროგრამული კომპონენტების მოდერნიზაცია ახალი ფუნქციების დამატების ან არსებული ხარვეზების გასწორების მიზნით.

დაშვების სისტემის რეზერვირება

დაშვების სისტემის მთავარი ელემენტების სარეზერვო ასლების არსებობა ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

დაშვების სისტემის საგანგებო მართვა

სისტემის სპეციალური რეჟიმი, რომელიც აქტიურდება კრიტიკულ სიტუაციებში — მაგალითად, ევაკუაციის ან საგანგებო რეაგირებისას.

დაშვების სისტემის სარეზერვო არხი

ალტერნატიული კომუნიკაციის არხი დაშვების მონაცემების ან ბრძანებების გადაცემისთვის ქსელის დაზიანების შემთხვევაში.

დაშვების სისტემის სარეზერვო კვების წყარო (UPS)

ენერგიის წყარო, რომელიც უზრუნველყოფს დაშვების სისტემის უწყვეტ ფუნქციონირებას ელექტრომომარაგების შეწყვეტის შემთხვევაში.

დაშვების სისტემის სარეზერვო მეხსიერება

დაშვების სისტემაში მონაცემების სარეზერვო შენახვის მოდული, რომელიც იცავს ინფორმაციას ავარიის ან ტექნიკური გაუმართაობის დროს.

დაშვების სისტემის სერტიფიცირება

დაშვების სისტემის შესაბამისობის დადასტურება შესაბამის სტანდარტებთან და ტექნიკურ რეგლამენტებთან.

დაშვების სისტემის სრული ოპტიმიზაცია

ყველა ტექნიკური, ორგანიზაციული და პროგრამული კომპონენტის სრულყოფა ეფექტურობის, უსაფრთხოების და გამართულობის ზრდისთვის.

დაშვების სისტემის სტატუსის მონიტორინგი

რეალურ დროში დაშვების სისტემის მუშაობის მდგომარეობის კონტროლი და შეფასება.

დაშვების სისტემის ტესტირების პროცედურა

წინასწარ განსაზღვრული მოქმედებების კომპლექტი, რომლის მეშვეობითაც მოწმდება დაშვების სისტემის ფუნქციონალური გამართულობა.

დაშვების სისტემის ტექნიკური მომსახურება

საკეტების, ბარათების წამკითხველების, ბარიკადების და ტურნიკეტების ფუნქციური შემოწმება და შეკეთება.

დაშვების სისტემის ტექნიკური მომსახურება

წინასწარ განსაზღვრული რეგლამენტის მიხედვით სისტემის ტექნიკური ინსპექტირება, პროფილაქტიკა და დაზიანებების აღმოფხვრა.

დაშვების სისტემის უსაფრთხოების ტესტირება

გეგმიური და საგანგებო შემოწმებები დაშვების სისტემის დაცვის დონის და სისუსტეების გამოსავლენად.

დაშვების სისტემის ქსელური ინტეგრაცია

დაშვების სისტემის ინტეგრირება კომპანიის სხვა ინფორმაციულ და ტექნიკურ სისტემებთან საერთო ქსელში.

დაშვების სისტემის ქსელური უსაფრთხოება

ქმედებები და ზომები, რომლებიც იცავს დაშვების სისტემის ქსელს კიბერშეტევებისგან და მონაცემთა უნებართვო წვდომისგან.

დაშვების სისტემის შეზღუდვების მართვა

დაშვების პროცესების რეგულირება განსაზღვრული შეზღუდვების მიხედვით (დროითი, სივრცითი, სტატუსის მიხედვით).

დაშვების სისტემის შენახვის პოლიტიკა

წესები და პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს დაშვების მონაცემების შენახვის ვადებს, პირობებს და წვდომის პოლიტიკას.

დაშვების სისტემის შეუმჩნეველი კონტროლი

პიროვნების ან ობიექტის გადაადგილების ფარული მონიტორინგი შეზღუდულ სივრცეში უსაფრთხოების გაზრდის მიზნით.

დაშვების სისტემის შეცდომების ლოგირება

ყველა ტექნიკური ხარვეზის და შეცდომის ავტომატური რეგისტრაცია სისტემურ ჟურნალში შემდგომი ანალიზისთვის.

დაშვების სისტემის შიდა ქსელი

დაშვების მართვის სისტემის ცალკე კომუნიკაციის ინფრასტრუქტურა, რომელიც იზოლირებულია გარე ქსელებისგან უსაფრთხოების მიზნით.

დაშვების სისტემის წვდომის რეგულირება

წესები და პროტოკოლები, რომლებიც არეგულირებენ სისტემაში ადმინისტრატორების და მომხმარებლების წვდომის დონეებს.

დაშვების სპეციალური უფლებები

განსაკუთრებული წვდომის უფლებები, რომლებიც მინიჭებულია მხოლოდ განსაზღვრული პირებისთვის (მაგალითად, უსაფრთხოების ოფიცერი).

დაშვების შეზღუდვების პოლიტიკა

წესების კომპლექსი, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების დაშვების პირობებს, შეზღუდვებს და გამონაკლისებს.

დაშვების ჩანაწერთა არქივაცია

ყველა დაშვების ფაქტის გრძელვადიანი შენახვა სამართლებრივი და უსაფრთხოების მიზნებისთვის.

დაშვების ჩანაწერის ავტომატიზაცია

დაშვების სისტემაში ყველა მოქმედების ავტომატური რეგისტრაციის ფუნქცია პერსონალის ჩაურევლად.

დაშვებული ზონა – ტერიტორია, სადაც დაშვება რეგლამენტირებულია და კონტროლდება დადგენილი წესებით, რაც უზრუნველყოფს მის უსაფრთხო და ორგანიზებულ ფუნქციონირებას.

დაშიფვრის გასაღები

სპეციალური ციფრული კოდი ან მატრიცა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის დაშიფვრისა და გაშიფვრის პროცესებში.

დაშიფრული გადაცემა

სიგნალის დაშიფვრა გადაცემის დროს, მონაცემების დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით.

დაშიფრული ვიდეო მონაცემები

ვიდეო ფაილების დაცვა დაშიფვრის მექანიზმებით, რათა აიცილოს გარე ჩარევა ან მონაცემთა კომპრომეტაცია.

დაცვითი (დაცვით-სახანძრო) მიმღებ-საკონტროლო მოწყობილობა

ტექნიკური საშუალება, რომელიც იღებს შეტყობინებებს დეტექტორებისგან, გარდაქმნის სიგნალებს და გადასცემს შეტყობინებებს მომხმარებლისათვის.

დაცვითი (დაცვით-სახანძრო) მიმღებ-საკონტროლო მოწყობილობა

ტექნიკური საშუალება, რომელიც იღებს შეტყობინებებს დეტექტორებისგან, გარდაქმნის სიგნალებს და გადასცემს შეტყობინებებს მომხმარებლისათვის.

დაცვითი დეტექტორი

ტექნიკური საშუალება, რომელიც აფიქსირებს შეღწევას და ქმნის შესაბამის შეტყობინებას.

დაცვითი ინციდენტების მოდელირება და სიმულაცია

პროექტირების პროცესში პოტენციური ინციდენტების სიმულაციური შეფასება სისტემის რეაგირების ტესტირებისთვის.

დაცვითი სიგნალიზაცია

შელწვევის შესახებ ინფორმაციის მიღება, დამუშავება, გადაცემა და წარმოდგენა მომხმარებლისთვის ტექნიკური საშუალებებით.

დაცვითი სიგნალიზაციის ავტომატიზებული ტექნოლოგიური კომპლექსი

ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომელიც დამონტაჟებულია დაცულ ობიექტზე და გაერთიანებულია საინჟინრო ქსელების სისტემით.

დაცვითი სიგნალიზაციის კომპლექსი

დაცული ობიექტის ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულია საინჟინრო ქსელებით.

დაცვითი სიგნალიზაციის მრავალსაფეხურიანი კომპლექსი
რამდენიმე საფეხურის მქონე დაცვითი სისტემა.

დაცვითი სიგნალიზაციის საზღვარი

ერთობლივად მოქმედი ტექნიკური საშუალებების ჯაჭვი, რომელიც ქმნის შეტყობინებას დაცულ ზონაში შეღწევის შესახებ.

დაცვითი ღონისძიება: ღონისძიება, რომელიც მიმართულია დამრღვევის ქმედებების აღსაკვეთად, როდესაც ის ცდილობს ობიექტზე შეღწევას ან ქონების წინააღმდეგ უკანონო ქმედებებს.

დაცვით-სახანძრო დეტექტორი

დეტექტორი, რომელიც აერთიანებს დაცვითი და სახანძრო დეტექტორის ფუნქციებს.

დაცვით-სახანძრო სიგნალიზაცია

შელწევის და ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიღება, დამუშავება, გადაცემა და წარმოდგენა მომხმარებლისთვის.

დაცვით-სახანძრო სიგნალიზაციის კომპლექსი

ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა დაცვითი და სახანძრო სიგნალიზაციისთვის, გაერთიანებული საინჟინრო ქსელებით.

დაცვის (სახანძრო, საგანგებო) სიგნალიზაციის სისტემის მართვის პულტი: დაცვის (სახანძრო, საგანგებო) სიგნალიზაციის ტექნიკური საშუალება, რომელიც საშუალებას იძლევა, იმართოს ამ სისტემის მუშაობის რეჟიმები.

დაცვის (უსაფრთხოების) ტექნიკური საშუალების საიმედოობა: თვისება, რომ ტექნიკურმა საშუალებამ ან სისტემამ დროში შეინარჩუნოს მოთხოვნილი ფუნქციების შესრულების უნარი განსაზღვრულ რეჟიმებსა და პირობებში.

დაცვის გაძლიერება: უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით, დამატებითი პოსტების, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა დაცვის საშუალებების გამოყენებით ობიექტისა და ქონების დაცვის საიმედოობის გაზრდა.

დაცვის გეგმა

დოკუმენტურად გაფორმებული ღონისძიებათა და დაცვის საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის უსაფრთხოებას.

დაცვის და გამოვლენის სისტემა

სისტემა, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ დაბრკოლებას და შეღწევის ავტომატურ გამოვლენას. მისი მიზანია უსაფრთხოების მტკიცე უზრუნველყოფა, შეღწევის მცდელობის სწრაფი იდენტიფიკაცია და ოპერატიული რეაგირება.

დაცვის დონე

უსაფრთხოების დონისძიებების ეფექტურობის ხარისხობრივი მაჩვენებელი კონკრეტული ობიექტისთვის.

დაცვის კლასი: კომპლექსური შეფასება, რომელიც ითვალისწინებს ობიექტის განლაგებას, სიმტკიცის მახასიათებლებს, კონსტრუქციულ თავისებურებებს და ასახავს დაცვის უზრუნველყოფის ხარისხს.

დაცვის კონტური

სისტემის საერთო საზღვარი, რომელზეც გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის დაცვის საშუალებები და დონისძიებები.

დაცვის კონცეფცია

დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის დაცვის ორგანიზაციის ზოგად წესრიგს, ფიზიკური და ტექნიკური დაცვის ყველა საშუალების გამოყენებით და მცველთა მოქმედების ალგორითმს ყველა შესაძლო საგანგებო სიტუაციაში (ხანძარი, დატბორვა, მოკლე ჩართვა, დანაშაული და ა.შ.). დამტკიცებულია ორივე მხარის მიერ.

დაცვის მეთოდი

დაცვის განხორციელების სპეციფიკური გზა ან მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების მიზნების მიღწევას.

დაცვის მუშაობის რეჟიმი — ობიექტზე დაცვითი საქმიანობის განხორციელების დადგენილი წესი, რომელიც მოიცავს: დაცვის თანამშრომლების სამუშაო გრაფიკს, მათ ურთიერთქმედებას ობიექტის პერსონალთან და ვიზიტორებთან, აგრეთვე დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, დამტკიცებულია დაცვის მომსახურების მომხმარებლის მიერ და შეთანხმებულია კერძო დაცვის ორგანიზაციასთან.

დაცვის ორგანიზაციების სამეთვალყურეო და აუდიტის მოთხოვნები

სახელმწიფო ზედამხედველობის და კონტროლის პროცედურები დაცვის სფეროში არსებული ორგანიზაციების მიმართ.

დაცვის ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის საჭირო დოკუმენტები ხელმისაწვდომია, მოწესრიგებულია და მათ შესახებ ინფორმაცია სანდოა; დაცვის ორგანიზაცია სრულად დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების დონის სპეციალისტებით; დაცვის ორგანიზაციაში მუდმივად ხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად მოხდეს რეაგირება პერსონალის მუშაობასთან დაკავშირებულ შენიშვნებზე; მომსახურება შეესაბამება შემკვეთის (მომსახურების მიმღების) მოლოდინებსა და საჭიროებებს.

დაცვის პასუხისმგებლობის ზონა — ტერიტორია, სადაც დაცვის თანამშრომლები ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს კერძო დაცვის ორგანიზაციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

დაცვის პერსონალის სავალდებულო სერტიფიცირება

პირადი მცველების და დაცვის პერსონალის პროფესიული სერტიფიცირების მოთხოვნები.

დაცვის პერსონალის სამოქალაქო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმები დაცვის სფეროში არსებულ სამართალდარღვევებზე.

დაცვის პოსტი — ადგილი ან ტერიტორიის ნაწილი, სადაც დაცვის თანამშრომელი ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს კერძო დაცვის ორგანიზაციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

დაცვის პოსტის ღირებულება — ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასი ერთი დაცვის პოსტის მუშაობის ორგანიზებისთვის, რომელიც წარედგინება შემკვეთს გადახდისთვის და გამოითვლება გარკვეული დროის პერიოდისთვის (საათი, თვე, წელი).

დაცვის პროექტის ტექნიკური სარეზერვო გეგმა

გეგმები, რომლებიც განსაზღვრავენ უსაფრთხოების სარეზერვო სისტემების სტრუქტურას და ამოქმედების მექანიზმებს.

დაცვის საიმედოობა: მაჩვენებელი, რომელიც ასახავს კრიმინალური ან ტერორისტული საფრთხისგან ზიანის თავიდან აცილების ალბათობას.

დაცვის საიმედოობის გაზრდა: ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს კრიმინალური და ტერორისტული საფრთხეებისგან ზიანის რისკის შემცირებას.

დაცვის საშუალება - ტექნიკური მოწყობილობა ან ორგანიზაციული ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად.

დაცვის სექცია – მისამართული ან არამისამართული დაცვის ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომელთა დაცვაზე აყვანა და მოხსნა ხორციელდება ერთდროულად, რაც უზრუნველყოფს მათი კოორდინირებულ და ეფექტურ ფუნქციონირებას.

დაცვის სიგნალიზაციის სისტემა: დაცვის (უსაფრთხოების) ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც ერთად მოქმედებენ და განკუთვნილია კრიმინალური საფრთხეების გამოსავლენად, დაცული ობიექტის ან ქონების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გადაცემისა და მოცემული სახით წარმოდგენისთვის.

დაცვის სიგნალიზაციის შლეიფი – ელექტრული წრე, რომელიც გამოიყენება დაცვის ტექნიკური საშუალებების მისაღებ-საკონტროლო მოწყობილობებთან დასაკავშირებლად, სისტემის გამართული ფუნქციონირება და მონაცემთა გადაცემის უზრუნველსაყოფად.

დაცვის სიგნალიზაციის ხაზი – გამოვლენის ზონებისა და საინჟინრო-ტექნიკური გამაგრების საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ქმნის საზღვარს; ამ საზღვრის გადალახვა იწვევს განგაშის შეტყობინების ფორმირებას და სისტემის შესაბამის რეაგირებას.

დაცვის სისტემა - ორგანიზაციული, ტექნიკური და პროგრამული საშუალებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის, პერსონალის ან ინფორმაციას დაცვას.

დაცვის სისტემის მოდერნიზაცია

არსებული უსაფრთხოების სისტემების განახლება, გაუმჯობესება ან შეცვლა თანამედროვე საფრთხეების საპასუხოდ.

დაცვის სტრატეგიის განსაზღვრა

დიზაინის პროცესში ჩამოყალიბებული ძირითადი კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხოების მიზნებს და პრინციპებს.

დაცვის სუბიექტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია ობიექტის დაცვაზე, უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე და დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფაზე.

დაცვის ტექნიკური საშუალებები — სპეციალური ინჟინრული და ელექტრონული აღჭურვილობა და ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვის უწყვეტობას, მათ შორის: ადრეული გამოვლენის, მუქარის ნეიტრალიზაციისა და ლიკვიდაციის სისტემები, არასანქცირებული შეღწევის თავიდან აცილება, მოქალაქეთა ქმედებების მონიტორინგის სისტემები, საგანგაშო, სახანძრო და განგაშის სიგნალიზაციის სისტემები, წვდომის კონტროლისა და მართვის საშუალებები, მორიგე განათების, შეტყობინებისა და სხვა სისტემები, რომლებიც განკუთვნილია ობიექტის დაცვისთვის.

დაცვის ტექნიკური საშუალებების ელექტრომომარაგება: დაცვის ტექნიკური საშუალებების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა მათი ფუნქციონირებისთვის.

დაცვის ტექნიკური საშუალებების მოთხოვნები: მახასიათებლების ერთობლიობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაცვის ტექნიკური საშუალებები.

დაცვის ტექნიკური საშუალებების მონტაჟის ხარჯთაღრიცხვა

დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია დამკვეთის მიერ შეძენილი მოწყობილობების ტიპი და ღირებულება, ასევე დაცვის ორგანიზაციის სამუშაოებისა და სხვა ხარჯების ღირებულება.

დაცვის ტექნიკური საშუალების გახსნა: უნებართვო შეღწევა დაცვის ტექნიკური საშუალების შიგნით მისი დაშლის, გახსნის, დაზიანების ან განადგურების გზით, რაც უზრუნველყოფს წვდომას მართვისა და რეგულირების ელემენტებთან.

დაცვის ღონისძიება - ორგანიზაციული, საინჟინრო-ტექნიკური, ოპერატიული, ფიზიკური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია ობიექტების, ადამიანების და მატერიალური ფასეულობების დაუშვებელი ზემოქმედებისგან დასაცავად.

დაცვის ჩართვა — სიგნალიზაციის დაცვის რეჟიმში ჩართვა. დაცვის ჩართვა შეიძლება განხორციელდეს ობიექტის მფლობელის ან დაცვის პულტის მიერ (მოთხოვნის საფუძველზე).

დაცვის ხელშეკრულება — შეთანხმება დაცვის მომსახურების მომხმარებელსა და კერძო დაცვის ორგანიზაციას შორის, რომელიც განსაზღვრავს დაცვითი მომსახურების საგანს, მოცულობას, განხორციელების წესს და პირობებს, აგრეთვე მხარეთა უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას.

დაცული ზონა

ობიექტის ნაწილი, რომელსაც აკონტროლებს დაცვითი ან სახანძრო სიგნალიზაციის ერთი ხაზი.

დაცული ზონა: ტერიტორია ან სივრცე, რომლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი დაცვის საშუალებებით და ღონისძიებებით.

დაცული ობიექტი – ფიზიკური პირი, მატერიალური ფასეულობა, ინფორმაცია ან ინფრასტრუქტურული ობიექტი, რომლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვითი ღონისძიებების განხორციელება, რისკების მინიმიზაციისა და დაცვის საჭიროებების შესაბამისად.

დაცული ობიექტი

ობიექტი, რომელიც დაცულია დაცვის განყოფილებების მიერ და აღჭურვილია მოქმედი დაცვითი და/ან სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით.

დაცული ობიექტის კატეგორია – ობიექტის კომპლექსური შეფასება, რომელიც მოიცავს მის სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ ან სხვა მნიშვნელობას, ასევე განიხილავს შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების შედეგებს და ამ ობიექტის დაცვის სირთულის დონეს.

დაცული ობიექტის კატეგორია

ობიექტის კომპლექსური შეფასება მისი მნიშვნელობის მიხედვით.

დაცული სივრცე – ფიზიკური ან ლოგიკური ტერიტორია, რომლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ზომებისა და დაცვის სისტემების გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მაქსიმალური უსაფრთხოება და დაცულობა.

დაცული ტექნოლოგიების ინტეგრაცია უსაფრთხოების სისტემებში

დამადასტურებელი ლოგების, დაშვების ჩანაწერების და ინციდენტების დოკუმენტირების დაცული მოდელები.

დაცული ქონება — სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, მასალები, აღჭურვილობა, ინვენტარი, ავეჯი, ორგტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები და სხვა მოძრავი ნივთები, რომლებიც კანონიერი საფუძველით იმყოფება დაცვის მომსახურების მომხმარებლის საკუთრებაში, სარგებლობაში ან მართვაში.

დეტალური ტექნიკური ინსპექტირება

ღრმა შემოწმება დაცვის ყველა კომპონენტის, სენსორების, კაბელების, საკეტების და სხვა მოწყობილობების მდგომარეობის დასადგენად.

დეტექტორები (სენსორები) სიგნალიზაციის — სიგნალიზაციის ელემენტები (დეტექტორები), რომლებიც რეაგირებენ გარე ზემოქმედებაზე. უსაფრთხოების სისტემებში გამოიყენება სენსორები: მოცულობითი, კონტაქტური, რადიო ტალღური, ხმოვანი, დაკვამლიანების, წნევის, ტენიანობის და სხვა. ყველაზე გავრცელებული სიგნალიზაციის სენსორებია: კარისა და ფანჯრის გაღების სენსორი, ინფრაწითელი მოძრაობის სენსორები, მინის მსხვრევის აკუსტიკური სენსორები, ოთახის მოცულობის რადიო ტალღური სენსორები, ვიბრაციული და ტევადობითი დეტექტორები დაცული ობიექტის შეხებისა და ვიბრაციის გამოსავლენად, წყლის გაჟონვის სენსორები, გაზის გაჟონვის სენსორები, ტემპერატურის სენსორები, ელექტროენერგიის გათიშვის სენსორი.

დეტექტორი - მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს დაცულ სივრცეში რაიმე ცვლილებას (მოძრაობას, გახურებას, ვიბრაციას და ა.შ.) და ქმნის სიგნალს.

დეტექტორი (PIR) მოძრაობის ინფრაწითელი - პასიური ინფრაწითელი დეტექტორი, რომელიც აფიქსირებს ადამიანის სხეულის მიერ გამოსხივებული ინფრაწითელი ენერგიის ცვლილებას.

დეტექტორი (სენსორი) მაგნიტო-კონტაქტური საგანგაშო — საგანგაშო დეტექტორი, რომელიც ქმნის შეტყობინებას შეღწევის (შეღწევის მცდელობის) შესახებ მოწყობილობის ელემენტების მიერ შექმნილი მაგნიტური ველის ნორმირებული ცვლილებისას.

დეტექტორი CO (ნახშირორჟანგის)

მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს ნახშირორჟანგის (CO) მომატებულ კონცენტრაციას ჰაერში და ატყობინებს საშიშროების არსებობას.

დეტექტორი ალის - დეტექტორი, რომელიც რეაგირებს ცეცხლის გამოყოფილ ულტრაიისფერ ან ინფრაწითელ გამოსხივებაზე.

დეტექტორი აქტიური

დეტექტორი, რომელიც თავად წარმოქმნის გამოსხივებას და აფიქსირებს მის ცვლილებებს ობიექტზე.

დეტექტორი ბარიერი აქტიური ინფრაწითელი - ორი ან მეტი მოდულისგან შემდგარი სისტემა, რომელიც ქმნის ინფრაწითელი სხივების უხილავ ბარიერს და აფიქსირებს მის გაწყვეტას.

დეტექტორი ბარიერი ორმაგი ლაზერული - სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც მოიცავს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ლაზერული სხივის კონტროლს ობიექტზე შეღწევის გამოსავლენად.

დეტექტორი გაზის გაჟონვის

დეტექტორი, რომელიც რეაგირებს სხვადასხვა ტიპის გაზების (მაგ. ბუნებრივი აირის, პროპანის) გაჟონვის გამოვლენაზე.

დეტექტორი გაზო ანალიტიკური საგანგაშო — საგანგაშო დეტექტორი, რომელიც ქმნის შეტყობინებას შეღწევის შესახებ გარემოს გაზის შემადგენლობის ნორმირებული ცვლილებისას, როდესაც ადამიანი ჩნდება მისი გამოვლენის ზონაში.

დეტექტორი ვიბრაციის მოწყობილობა, რომელიც რეაგირებს ფიზიკურ ზემოქმედებაზე ან მიკრო კომპენსაციებზე ობიექტის სტრუქტურაში.

დეტექტორი ვიბრაციის პერიმეტრული - დეტექტორი, რომელიც აფიქსირებს ფიზიკურ ზემოქმედებას პერიმეტრზე (მაგალითად, ღობეზე).

დეტექტორი ვიბრაციული

გამოიყენება კედლებსა და ტიხრებზე ზემოქმედების (დარტყმა, დაშლა) გამოვლენისათვის.

დეტექტორი ზონური - დეტექტორი, რომელიც რეაგირებს ფიზიკური პარამეტრის ცვლილებაზე განსაზღვრულ დაცულ ზონაში.

დეტექტორი ინდუქციური საგანგაშო — საგანგაშო დეტექტორი, რომელიც ქმნის შეტყობინებას შეღწევის (შეღწევის მცდელობის) შესახებ მისი მგრძნობიარე ელემენტის ინდუქციურობის ნორმირებული ცვლილებისას.

დეტექტორი კვამლის მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს კვამლის ნაწილაკების არსებობას ჰაერში.

დეტექტორი კომბინირებული - დეტექტორი, რომელიც აერთიანებს რამდენიმე სხვადასხვა პრინციპზე მოქმედ სენსორს საიმედოობის გასაზრდელად.

დეტექტორი ლაზერული - მოწყობილობა, რომელიც იყენებს ლაზერულ სხივებს სივრცის ან პერიმეტრის მონიტორინგისთვის და აფიქსირებს მათი გაწყვეტას.

დეტექტორი მაგნიტო -კონტაქტური - მოწყობილობა, რომელიც რეაგირებს კარის, ფანჯრის ან სხვა მოძრავი ელემენტის მდგომარეობის ცვლილებაზე (გახსნა/დახურვა).

დეტექტორი მიკროტალღური

მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს ობიექტის გადაადგილებას მიკროტალღური სიგნალის დარღვევით.

დეტექტორი მიწისქვეშა შეღწევის მოწყობილობა, რომელიც რეაგირებს მიწისქვეშა ვიბრაციაზე ან მოძრაობაზე, გამოწვეული ობიექტზე შეღწევის მცდელობით.

დეტექტორი მოცულობითი - მოწყობილობა, რომელიც აკონტროლებს მოცულობის შიგნით მიმდინარე მოძრაობას ან ცვლილებებს.

დეტექტორი მოძრაობის - მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს ობიექტების გადაადგილებას დაცულ ზონაში.

დეტექტორი ობიექტზე შეღწევის - დეტექტორი, რომელიც აფიქსირებს ფიზიკური ბარიერის დარღვევას ან არასანქცირებული წვდომის მცდელობას.

დეტექტორი ოპტიკურ-ელექტრონული - მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს სინათლის სხივების ცვლილებას ან დაბრკოლებას დაცულ ზონაში.

დეტექტორი ორმაგი ტექნოლოგიის - დეტექტორი, რომელიც აერთიანებს ინფრაწითელი და მიკროტალღური ტექნოლოგიების გამოყენებას ყალბი განგაშების შესამცირებლად.

დეტექტორი პასიური - დეტექტორი, რომელიც რეაგირებს გარემოში ბუნებრივად არსებულ პარამეტრების ცვლილებაზე.

დეტექტორი პერიმეტრული - მოწყობილობა, რომელიც რეაგირებს ობიექტის გარე საზღვრის დარღვევაზე.

დეტექტორი საფარი წნევის სენსორული - პეციალური საფარი, რომელიც რეაგირებს წონით ზემოქმედებაზე და აფიქსირებს პიროვნების გადაადგილებას.

დეტექტორი ტევადობითი საგანგაშო— საგანგაშო დეტექტორი, რომელიც ქმნის შეტყობინებას შეღწევის (შელწევის მცდელობის) შესახებ მისი მგრძნობიარე ელემენტის ტევადობის ნორმირებული ცვლილებისას.

დეტექტორი ტემპერატურული - მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს კრიტიკულ ან უეცარ ტემპერატურულ ცვლილებებს დაცულ ობიექტზე.

დეტექტორი უკონტაქტო

მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს ზემოქმედებას ფიზიკური შეხების გარეშე.

დეტექტორი ულტრაბგერითი

მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს მოძრაობას სივრცეში ულტრაბგერითი ტალღების რეფლექსიის ცვლილებით.

დეტექტორი ფარდა

დეტექტორი, რომელიც აკონტროლებს შეღწევას კარების, ფანჯრების და სხვა ღიობების გავლით.

დეტექტორი წნევის საგანგაშო სენსორი — საგანგაშო დეტექტორი, რომელიც ქმნის შეტყობინებას შეღწევის (შელწევის მცდელობის) შესახებ მისი გამოვლენის ზონაში წნევის ნორმირებული ცვლილებისას.

დეტექტორი წყლის გაჟონვის

დეტექტორი, რომელიც რეაგირებს წყლის არსებობაზე ან გაჟონვაზე სენსორის ზედაპირზე.

დეტექტორი ხაზოვანი - მოწყობილობა, რომელიც აკონტროლებს ხაზოვანი ობიექტის (მაგალითად ღობე, კედელი) მთელ სიგრძეზე შეღწევის მცდელობას.

დეტექტორი ხანძარსაწინააღმდეგო - მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს კვამლს, ტემპერატურის მატებას ან ცეცხლის არსებობას და ასრულებს განგაშის ფუნქციას.

დეტექტორი ხმოვანი — საგანგაშო დეტექტორი, რომელიც ქმნის შეტყობინებას შეღწევის (შეღწევის მცდელობის) შესახებ მისი გამოვლენის ზონაში ნორმირებული დონის აკუსტიკური ტალღების წარმოქმნისას.

დეტექტორი ხმოვანი- მოწყობილობა, რომელიც რეაგირებს ხმოვან სიგნალებზე ან ხმაურის ცვლილებაზე დაცულ ობიექტზე. აღიქვამს სპეციფიკურ ხმოვან ტალღებს, როგორიცაა დარღვევის, მიწის გატეხვის ან ბარიერის დაზიანების ხმები. ამ სისტემას აქვს უნარი სწრაფად მოახდინოს რეაგირება და უზრუნველყოს საჭირო მოქმედებების განხორციელება, რაც უსაფრთხოების დაცვის მექანიზმს ამაღლებს.

დეტექტორი

მოწყობილობა, რომელიც ქმნის საგანგაშო შეტყობინებას შეღწევის ან მისი მცდელობის შემთხვევაში.

დეტექტორის აღმოჩენის ზონა

დაცული ობიექტის სივრცის ნაწილი, სადაც ადამიანის გადაადგილების შემთხვევაში დეტექტორი გასცემს შეღწევის შეტყობინებას.

დეტექტორის აღმოჩენის ზონის ხედვის კუთხე

კუთხე, რომელიც იქმნება ორი პირობითი ხაზით, რომლებიც გამოდიან დეტექტორიდან და განსაზღვრავენ მისი აღმოჩენის ზონის საზღვრებს.

დეტექტორის გამოვლენის ზონა

დაცული ობიექტის სივრცის ნაწილი, სადაც ადამიანის გადაადგილება ან ხანძრის წარმოქმნა იწვევს დეტექტორის სიგნალს.

დეტექტორის გამოვლენის ზონა

დაცული ობიექტის სივრცის ნაწილი, სადაც ადამიანის გადაადგილება ან ხანძრის წარმოქმნა იწვევს დეტექტორის სიგნალს.

დეტექტორის ინერციულობა

დროის მონაკვეთი, რომელიც იწყება განსაზღვრული პარამეტრის ცვლილების დასაწყისიდან და სრულდება დეტექტორის აქტივაციით.

დეტექტორის მგრძნობელობა

დეტექციის ველი – სამოქმედო ზონა, სადაც განლაგებულია სენსორები და ხდება შეღწევის მცდელობის დეტექცია. ეს ველი განისაზღვრება სენსორების ტიპით, განთავსების

სტრატეგიით და ტექნოლოგიით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების სისტემის ეფექტურ და მყისიერ რეაგირებას.

დივერსია – დაცვის (უსაფრთხოების) ტექნიკურ საშუალებებზე (სისტემებზე) განზრახ ზემოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მათი ნორმალური ფუნქციონირების დარღვევას და სისტემის ეფექტურობის შემცირებას.

დინამიკური დაცვის სისტემა

ფიზიკური ბარიერი ან სისტემა, რომელიც რეაგირებს ცვლილებებზე გარემოში და ავტომატურად იცვლის თავის მდგომარეობას.

დინამიკური პერიმეტრული დაცვის სისტემა

პერიმეტრის დაცვის სისტემა, რომელიც ავტომატურად იცვლება საფრთხის დონის მიხედვით.

დინამიური დაცვის სისტემა

დაცვის სისტემა, რომელიც რეაგირებს გარემოში ცვლილებებზე და ავტომატურად ცვლის თავის კონფიგურაციას საფრთხის დონის შესაბამისად.

დინამიური პერიმეტრის კონტროლი

პერიმეტრის მონიტორინგის სისტემა, რომელიც საფრთხის ცვლილების შესაბამისად ცვლის დაკვირვების და რეაგირების ინტენსივობას.

დინამიური რეაგირების მოდელები

სისტემები, რომლებიც საფრთხის ტიპის, დონის და გარემო პირობების შესაბამისად ავტომატურად ირჩევენ რეაგირების სტრატეგიას.

დისტანციური დაცვის მართვის პლატფორმები

სისტემები, რომლებიც ოპერატორებს აძლევენ საშუალებას დისტანციურად აკონტროლონ და მართონ დაცვითი ინფრასტრუქტურა.

დისტანციური მართვა

პულტიდან დაცვითი სისტემების გადართვის ან ობიექტზე დაშვების დისტანციური კონტროლი.

დიფერენციალური თერმული სახანძრო დეტექტორი

თერმული დეტექტორი, რომელიც აქტიურდება გარემოს ტემპერატურის ზრდის სიჩქარის დადგენილი მნიშვნელობის გადაჭარბებისას.

დიფერენციალური თერმული სახანძრო დეტექტორი

თერმული დეტექტორი, რომელიც აქტიურდება გარემოს ტემპერატურის ზრდის სიჩქარის დადგენილი მნიშვნელობის გადაჭარბებისას.

დოკუმენტური შემოწმება

უსაფრთხოების პოლიტიკის, პროცედურების, კონტრაქტების და შესაბამისი რეგულაციების დოკუმენტური გადამოწმება.

დომური ვიდეო კამერა (Dome Camera)

კამერა, რომელიც მოთავსებულია ნახევარსფერულ გარსში და ხშირად გამოიყენება შიდა სივრცეების დაცვისთვის.

დროებითი დაცვის სტრუქტურა

დამცავი სისტემა, რომელიც გამოიყენება ობიექტების დროებითი ან საგანგებო დაცვისთვის (მაგალითად, ღონისძიებებზე).

დროებითი ზონების განსაზღვრა

სპეციალური ზონების შექმნა დროებითი საჭიროებებისთვის (მაგალითად, სარემონტო სამუშაოების დროს).

დროებითი პერიმეტრის დაცვის სისტემა – სწრაფად განლაგებადი და მარტივად მოსახმარი სისტემა, რომელიც შექმნილია დროებითი ობიექტების ან ღონისძიებების დაცვისთვის. იგი უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას, მაქსიმალურ მოქნილობასა და უსაფრთხოების მაღალი დონის შენარჩუნებას დროებითი მოთხოვნებისთვის.

დროით შეზღუდული დაშვება

დაშვების ნებართვა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ განსაზღვრული დროის პერიოდში.

ევაკუაციის გეგმა – დოკუმენტური სქემა, რომელიც განსაზღვრავს პირების უსაფრთხო, ორგანიზებულ და დროულ გამოყვანას საგანგებო ვითარებების დროს, რათა შემცირდეს რისკები და უზრუნველყოფილ იქნას მაქსიმალური დაცულობა.

ევაკუაციის გეგმა

დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხო და ოპტიმალურ გზებს შენობიდან ან ტერიტორიიდან ადამიანების სწრაფი ევაკუაციისთვის.

ევაკუაციის დროის მონიტორინგი

ტექნოლოგიები და პროცედურები, რომლებიც აკონტროლებენ ევაკუაციის პროცესის სისწრაფეს და ეფექტურობას.

ევაკუაციის ვარჯიშები (Drills)

გეგმიური წვრთნები, რომელთა მიზანია პერსონალის და მომხმარებლების მომზადება კრიზისულ სიტუაციებზე სწორად რეაგირებისთვის.

ევაკუაციის ზონების განსაზღვრა

ტერიტორიის დაყოფა უსაფრთხო ზონებად, რომლებიც გამოიყენება ევაკუაციის პროცესის ოპტიმიზაციისთვის.

ევაკუაციის ინციდენტების ანალიზი

ევაკუაციის დროს დაფიქსირებული პრობლემების, შეფერხებების და შეცდომების დეტალური ანალიზი მომავალი გაუმჯობესებისთვის.

ევაკუაციის მარშრუტი

წინასწარ განსაზღვრული, უსაფრთხო გზა, რომელიც გამოიყენება შენობიდან ან ტერიტორიიდან გამოსასვლელად საგანგებო სიტუაციების დროს.

ევაკუაციის პასუხისმგებელი პირი

სპეციალურად მომზადებული პირი ან პირები, რომლებიც მართავენ ევაკუაციის პროცესს და კოორდინაციას უწევენ ადამიანების მოძრაობას.

ევაკუაციის პოსტპერაციული ანგარიშგება

დეტალური ანგარიშები ევაკუაციის პროცესის შეფასებისთვის და სტრატეგიის გაუმჯობესებისთვის.

ევაკუაციის პროცესის უწყვეტი გაუმჯობესება

პროცესი, რომელიც ეფუძნება წვრთნების, რეალური ინციდენტების და ანალიზის შედეგებს ევაკუაციის სისტემის მუდმივი დახვეწისთვის.

ევაკუაციის საინფორმაციო პანელი

ინტერაქტიული ან სტატიკური ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს ევაკუაციის მარშრუტებს და გასასვლელების ადგილმდებარეობას.

ევაკუაციის უსაფრთხოების პროტოკოლი

წესების ნაკრები, რომელიც განსაზღვრავს ევაკუაციის პროცესში მონაწილე პირების ქცევას და მოქმედებებს.

ეკოლოგიურად უსაფრთხო დამცავი ბარიერი

დამცავი სტრუქტურა, რომელიც დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა მასალებისგან და მინიმალურად აზიანებს გარემოს.

ელასტიკური დამცავი ბარიერი

ბარიერი, რომელიც ნაწილობრივ შთანთქავს ენერგიას შეჯახების დროს და ამცირებს დაზიანების ალბათობას.

ელემენტარული მგრძნობიარე ზონები

დეტექტორის ოპტიკური დიაგრამის ზონები, რომლებშიც ის რეაგირებს ინფრაწითელ გამოსხივებაზე.

ელექტრომაგნიტური გამოსხივება სვჩ დიაპაზონში

ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომლის სიხშირე აღემატება 1 გჰც-ს.

ელექტრომაგნიტური სენსორი – დაცვითი მოწყობილობა, რომელიც რეაგირებს მეტალის ობიექტების მოძრაობას ან მათი ადგილმდებარეობის ცვლილებას დაცულ ზონაში. სენსორი

უზრუნველყოფს მაღალი სიზუსტის დეტექციას, რის საფუძველზეც უსაფრთხოების ზომები მიიღება მყისიერად, რათა თავიდან აიცილოს არასანქცირებული შეღწევები.

ელექტრომომარაგების კონტროლი

უსაფრთხოების სისტემების უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა და სარეზერვო სისტემების შემოწმება.

ელექტრომომარაგების წყარო

სისტემის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მის ელექტროკვებას.

ელექტრონული ღობე

ღობე, რომელიც აღჭურვილია სენსორებით და აფიქსირებს ფიზიკურ ზემოქმედებას, შეღწევას ან ვიზრაციას.

ენერგო დამოუკიდებელი დამცავი სისტემა

დაცვის სისტემა, რომელიც აგებულია ენერგო დამოუკიდებელ წყაროებზე (მაგალითად, ბატარეები, მზის პანელები).

ენერგოეფექტური დაცვის ტექნოლოგიები

დაცვის სისტემები, რომლებიც ოპტიმიზირებულ ენერგომოხმარებას იყენებენ და უზრუნველყოფენ ეკოლოგიურად უსაფრთხო მუშაობას.

ენერგოობიექტების დაცვის სისტემა

დაცვის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს ელექტროსადგურების, ტრანსფორმატორული სადგურების, გაზის და ნავთობის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას.

ესკორტირება

დაცვის მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური ფასეულობების ტრანსპორტირების დროს დაცვას, მთელ მარშრუტზე ან მის კონკრეტულ მონაკვეთზე.

ექსპლუატაციის საწყისი ინსტრუქცია

დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების სისტემის მართვის და ოპერირების საწყის ინსტრუქციებს.

ექსპლუატაციის საწყისი მონიტორინგი

სისტემის ოპერაციულ რეჟიმში გაშვებიდან პირველი პერიოდის ინტენსიური კონტროლი.

ექსპლუატაციის ტექნიკური მომსახურების გეგმა

სისტემის რეგულარული ტექნიკური მომსახურების და შემოწმების გრაფიკის შექმნა.

ვიზრაციის დეტექტორი ბარიერზე – სენსორი, რომელიც განკუთვნილია ღობის ან სხვა ბარიერის ფიზიკურ ზემოქმედებაზე რეაგირებისთვის, როგორცაა ვიზრაცია, დაწევა ან დაზიანება. იგი უზრუნველყოფს სწრაფი იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს პერიმეტრის დაცვას და უსაფრთხოების ზომების დროულ მიღებას.

ვიზრაციის მონიტორინგის სისტემა პერიმეტრზე

დეტექტორების კომპლექსი, რომელიც რეაგირებს მიკროვიზრაციებზე და აფიქსირებს ფიზიკურ ზემოქმედებას ბარიერზე.

ვიდეო ანალიტიკის და დაშვების მონაცემების სინქრონიზაცია

პერსონალის ან ვიზიტორების გადაადგილების ვიდეო ფიქსაცია დაშვების სისტემების მონაცემებთან სინქრონულად.

ვიდეო ანალიტიკის პროგრესირება

ვიდეო თვალთვალის სისტემების ინტელექტუალური ანალიზი, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს ობიექტების აღქმა, ნიმუშების იდენტიფიკაცია და ექვმიტანილების პროგნოზირება.

ვიდეო მონიტორინგის ინტეგრაცია პულტში

სისტემის გაფართოება, რომელიც აერთიანებს ვიდეო სიგნალების მიმღებ სისტემებს პულტზე განგაშის ვიზუალური დასადასტურებლად.

ვიდეო მონიტორინგის ოპერატორი

პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია ვიდეო მონიტორინგის პროცესზე, მოძრაობის გამოვლინებაზე და საფრთხის იდენტიფიკაციაზე.

ვიდეო მონიტორინგის სისტემებთან მუშაობის სწავლება

კამერების მართვის, ვიდეო ჩანაწერების ანალიზის და ვიდეო მონიტორინგის ოპერატიული რეაგირების უნარების განვითარება.

ვიდეო მონიტორინგის სისტემის ოპტიმიზაცია

ტექნიკური და პროგრამული პროცესების სრულყოფა, რომელიც ზრდის სისტემის ეფექტურობას, სიზუსტეს და საიმედოობას.

ვიდეო მონიტორინგის სისტემის ტესტირება

კამერების მუშაობის, ჩაწერის, შენახვის და გარე წვდომის ტესტირება.

ვიდეო მონიტორინგის ცენტრი

ფიზიკური ან ვირტუალური ადგილი, სადაც ხორციელდება ერთდროულად მრავალი ვიდეო არხის კონტროლი და რეაგირება.

ვიდეო თვალთვალის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციები

კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ვიდეო სათვალთვალო სისტემების გამოყენებას და ვიდეო მონაცემების დამუშავებას.

ვიდეო თვალთვალის სისტემის დაგეგმვა

კამერების ტიპის, რაოდენობის, ადგილმდებარეობისა და მონიტორინგის სტრატეგიის განსაზღვრა.

ვიდეო თვალთვალის სისტემის მოვლა

კამერების, სერვერების და ჩანაწერების სისტემური შემოწმება, გაწმენდა და განახლება.

ვიდეო კამერა

მოწყობილობა, რომელიც იწერს ვიზუალურ ინფორმაციას და გადასცემს მას რეალურ დროში ან ინახავს შემდგომი გამოყენებისთვის.

ვიდეო კამერის ავტომატური თვითდიაგნოსტიკა

კამერის უნარი ავტომატურად შეამოწმოს საკუთარი მუშაობის სტატუსი და აფიქსიროს პრობლემები.

ვიდეო კონფერენციის ინტეგრაცია ვიდეო სერვერზე

ფუნქცია, რომელიც აძლევს საშუალებას ვიდეო სერვერზე ჩართული კამერები გამოიყენოს ვიდეო კომუნიკაციისთვის.

ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა — ერთობლივად მოქმედი ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია საკომუნიკაციო ხაზებით (ვიდეოკამერები, მონიტორები, აპარატურულ-პროგრამული საშუალებები), განკუთვნილია დაცულ ობიექტზე ოპერატიული სიტუაციის ვიდეო მეთვალყურეობის (მონიტორინგის), განგაშის სიგნალის გადაცემის, აგრეთვე ვიდეომასალების ჩაწერის, არქივირებისა და შენახვისთვის.

ვიდეო სათვალთვალო სისტემა – ტექნიკური სისტემა, რომელიც აერთიანებს ვიდეო კამერებს, ჩამწერ მოწყობილობებსა და მონიტორინგის პანელებს, რათა უზრუნველყოს ობიექტის კონტროლი და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესება.

ვიდეო ჩამწერი მოწყობილობა (DVR/NVR)

სისტემა, რომელიც იწერს ვიდეოს მონაცემებს ვიდეო კამერებიდან ლოკალურ ან ქსელურ საცავზე.

ვიდეოს ანალიზის სისტემა (VCA)

პროგრამული ანალიტიკური მოდული, რომელიც ამუშავებს ვიდეოს მონაცემებს კონკრეტული მოვლენების ან ობიექტების გამოსავლენად.

ვიდეოს არქივაცია

ვიდეო ჩანაწერების გრძელვადიანი შენახვის პროცესი სამართლებრივი, უსაფრთხოების ან ოპერაციული მიზნებისთვის.

ვიდეოს არხის მულტიპლექსირება

რამდენიმე ვიდეო არხის გაერთიანება ერთ გადაცემით არხზე გადატვირთვის შემცირების მიზნით.

ვიდეოს გადაცემის არხი

კომუნიკაციის მარშრუტი, რომლითაც ვიდეოს მონაცემები გადაეცემა კამერიდან სერვერზე ან მართვის ცენტრში.

ვიდეოს გადაცემის პროტოკოლი (RTSP)

რეალური დროის სტრიმინგის პროტოკოლი, რომელიც გამოიყენება ვიდეოს გადაცემისთვის IP ქსელებში.

ვიდეოს განგაშის შეტყობინება

ავტომატური სიგნალი ან შეტყობინება, რომელიც გენერირდება ვიდეო ანალიზის ან მოძრაობის გამოვლენის შედეგად.

ვიდეოს დაშიფვრა

ვიდეო მონაცემების დაშიფვრის პროცესი მონაცემთა უნებართვო წვდომის ან გატაცებისგან დასაცავად.

ვიდეოს ინტეგრაცია დაშვების მართვის სისტემასთან

სისტემების შერწყმა, რომელიც საშუალებას იძლევა ვიდეო ჩანაწერები დაუკავშიროს დაშვების მოვლენებს.

ვიდეოს ინტეგრაცია სიგნალიზაციის სისტემასთან

ვიდეოს მიერთება სიგნალიზაციის სისტემებთან განგაშის ავტომატური გენერაციის ან მოწმობის მიზნებისთვის.

ვიდეოს ინტელექტუალური ანალიზი (IVA)

ტექნოლოგია, რომელიც იყენებს ხელოვნურ ინტელექტს ვიდეოს მონაცემების ავტომატური ანალიზისთვის კონკრეტული მოვლენების ან ობიექტების გამოვლენის მიზნით.

ვიდეოს კომპრესია

პროცესი, რომლის დროსაც ვიდეო მონაცემები შეკუმშება უფრო მცირე ზომის ფაილად გადასაცემად და შესანახად ხარისხის მინიმალური დაკარგვით.

ვიდეოს მენეჯმენტის სისტემა (VMS)

პროგრამული პლატფორმა, რომელიც მართავს ვიდეო კამერებს, ჩანაწერებს, ანალიზს და მომხმარებლების წვდომას ცენტრალიზებულად.

ვიდეოს მოძრაობის დეტექციის რეჟიმი

ჩაწერის რეჟიმი, როდესაც ვიდეო კამერა იწყებს ჩანაწერს მხოლოდ მოძრაობის აღმოჩენის შემთხვევაში.

ვიდეოს რეალურ დროში ანალიზი

სისტემა, რომელიც ახორციელებს ვიდეოს გაშიფრვას და ანალიზს მაშინვე მიღების პროცესში, შეყოვნების გარეშე.

ვიდეოს რეზერვირება

ვიდეო ფაილების სარეზერვო კოპირება მონაცემთა დაკარგვის ან დაზიანების რისკის შესამცირებლად.

ვიდეოს საცავის დაპროექტება

გეგმა და ტექნიკური გადაწყვეტილებები, რომელიც უზრუნველყოფს ვიდეოს შენახვის სისტემის მასშტაბირებას, გამართულობას და უსაფრთხოებას.

ვიდეოს უწყვეტი ჩაწერის რეჟიმი

ვიდეოს რეგულარული, უწყვეტი ჩაწერის პროცესი კამერიდან, განგაშის ან მოძრაობის დეტექციის გარეშე.

ვიდეოს შენახვის სისტემა (VSS)

ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს სერვერებს, საცავ მოწყობილობებს და პროგრამულ უზრუნველყოფას ვიდეო ჩანაწერების შესანახად.

ვიდეოს შენახვის ქსელი (SAN, NAS)

სპეციალიზებული ქსელური საცავები, რომლებიც განკუთვნილია დიდი მოცულობის ვიდეო დანაწილებით და ვიდეოს უწყვეტი ჩაწერისთვის.

ვიდეოს ჩანაწერების არქივაცია

დეტალური ჩანაწერების სისტემური შენახვა და კლასიფიკაცია სამართლებრივი, ოპერაციული ან ანალიტიკური მიზნებისთვის.

ვიდეოს ჩანაწერების აღდგენა

დაზიანებული ან წაშლილი ვიდეო ჩანაწერების აღდგენის პროცესი სარეზერვო ასლიდან ან მონაცემთა აღდგენის ტექნოლოგიებით.

ვიდეოს ჩანაწერების შენახვის პოლიტიკა

წესების კომპლექსი, რომელიც განსაზღვრავს რამდენ ხანს უნდა შეინახოს ვიდეო, ვინ უნდა ჰქონდეს წვდომა და როგორ უნდა განხორციელდეს წაშლა.

ვიდეოს ჩანაწერების ძიება

პროგრამული ან მანუალური პროცესი, რომელიც გამოიყენება კონკრეტული დროის, მოვლენების ან ობიექტების იდენტიფიკაციისთვის.

ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი — დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილია ობიექტის ვიზიტორთა შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციისთვის, მოიცავს მონაცემებს შესვლისა და გამოსვლის დროის, გვარ-სახელის, ვიზიტის მიზნისა და, საჭიროების შემთხვევაში, თანმხლები პირების ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ.

ვიზიტორთა დაშვების სისტემა

სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დროებითი სტუმრების რეგისტრაციას, იდენტიფიკაციას და დაშვების კონტროლს.

ვირტუალური პერიმეტრი ვიდეო ანალიზში

ხელოვნურად განსაზღვრული ხაზები ან ზონები ვიდეო ში, რომელთა დარღვევა იწვევს ავტომატურ რეაგირებას.

ზიანის მიყენების დასაშვები რისკი – რისკი, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტულ სფეროში და მიიჩნევა დასაშვებად შესაბამისი საშიში სიტუაციების წარმოშობის შემთხვევაში.

ზიანის მიყენების რისკი – კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ზიანის წარმოშობის ალბათობას განსაზღვრულ პერიოდში და მის შესაძლო ოდენობას, რისკის შეფასებისა და მართვის პროცესისთვის.

ზონების ავტორიზაციის დონეები

დაშვების უფლებების კლასიფიკაცია, რომელიც განსაზღვრავს ზონაზე წვდომის ნებადართულ ან შეზღუდულ დონეებს.

ზონების გადაადგილების კორიდორები

სპეციალური გასასვლელები და დერეფნები, რომლებიც აკონტროლებენ სხვადასხვა ზონაში გადანაცვლების პროცესს.

ზონების გადაკვეთაზე კონტროლის წერტილები

სტრატეგიულად განთავსებული წერტილები, სადაც ხდება პიროვნების იდენტიფიკაცია და წვდომის ავტორიზაცია ზონიდან ზონაში გადასვლისას.

ზონების გადაჯაჭვული რეაგირების სისტემა

სისტემა, რომელიც საფრთხის გამოვლენისას ერთ ზონაში ავტომატურად ახდენს მოქმედებების ინიცირებას სხვა ზონებშიც.

ზონების განლაგების ოპტიმიზაცია

გეგმარების პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს უსაფრთხოების დონის ამაღლებას მინიმალური ინფრასტრუქტურული ცვლილებებით.

ზონების დაშიფრული მართვის სისტემა

ინტელექტუალური სისტემა, რომელიც იყენებს დაშიფრულ მონაცემებს ზონებზე წვდომის და უსაფრთხოების მართვისთვის.

ზონების დაცვის ინტენსივობის დონის განსაზღვრა

პროცესი, რომელიც ადგენს თითოეული უსაფრთხოების ზონისთვის საჭირო ფიზიკური და ტექნიკური დაცვის დონეს.

ზონების ევაკუაციის გეგმა

საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში პერსონალის სწრაფი და უსაფრთხო ევაკუაციისთვის განსაზღვრული მარშრუტები და პროცედურები თითოეული ზონის მიხედვით.

ზონების ინტელექტუალური ოპტიმიზაცია

AI სისტემებზე დაფუძნებული მოდელი, რომელიც ავტომატურად ანალიზებს ზონების მონაცემებს და სთავაზობს გაუმჯობესების ვარიანტებს.

ზონების მრავალდონიანი დაცვა

დაცვის სტრატეგია, რომელიც მოიცავს რამდენიმე თანმიმდევრულ დაცვით ზონას საფრთხის დონის შესაბამისად.

ზონების ოპერატიული ცვლილების რეგლამენტი

წესების ნაკრები, რომელიც განსაზღვრავს როგორ უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ზონების ცვლილება საგანგებო ან ოპერაციულ საჭიროებათა შემთხვევაში.

ზონური განგაშის მექანიზმები

ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც განგაშს ტრიალებენ კონკრეტულ ზონაში დაფიქსირებული საფრთხის მიხედვით.

ზონური დაშვების სისტემა

დაშვების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების წვდომის უფლებას მხოლოდ კონკრეტულ ზონებზე ორგანიზაციის შიგნით.

ზონური დეტექციის სისტემის ინტეგრაცია

სხვადასხვა სენსორული სისტემების გაერთიანება ზონური უსაფრთხოების სტრუქტურაში რეალურ დროში კონტროლის მიზნით.

ზონური ევაკუაციის მართვის სისტემა

სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ზონების მიხედვით სწრაფი ევაკუაციის სქემებს საგანგებო სიტუაციებისთვის.

ზონური ინციდენტების ანგარიშების სისტემა

სტრუქტურირებული პლატფორმა ინციდენტების რეგისტრაციის, ანალიზისა და სტატისტიკის შეგროვებისთვის ზონების მიხედვით.

ზონური რისკების რეგულარული შეფასება

პერიოდული ანალიზი, რომელიც ადგენს უსაფრთხოების საფრთხეების დონეს სხვადასხვა ზონაში და განაახლებს დაცვის ზომებს.

ზონური უსაფრთხოების ტრენინგის პროგრამა

სპეციალური სწავლება თანამშრომლებისთვის, რომელიც მოიცავს ზონირების, დაშვების და ევაკუაციის წესების ცოდნას.

თავდაცვითი კიბერუსაფრთხოების ინტეგრაცია ფიზიკურ დაცვაში

ფიზიკური უსაფრთხოების სისტემების დაცვა კიბერშეტევებისგან: დაშვების სისტემების, ვიდეო კამერების, სერვერების დაცვა.

თანამშრომლობის მოთხოვნები სახელმწიფო ორგანოებთან

სამართლებრივი ვალდებულებები დაცვის კომპანიების მხრიდან სამართალდამცავ და საგანგებო უწყებებთან კოორდინაციის პროცესში.

თანხლება — დაცვის მომსახურების სახე, რომელიც მოიცავს შეიარაღებული დაცვის თანამშრომლების თანდასწრებას მატერიალური ფასეულობების ტრანსპორტირების მარშრუტზე, გადაზიდული ტვირთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

თაღვანი უსაფრთხოების ზონა – სპეციალური კონსტრუქცია, რომელიც განკუთვნილია დაცული კორიდორის ან გასასვლელის შესაქმნელად. ეს სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების მაღალ დონეს, ოპტიმალურ გადაადგილებას და პერიმეტრის ეფექტურ დაცვას. მისი დიზაინი ხშირად შეესაბამება კონკრეტულ ოპერაციულ მოთხოვნებს და გარემოს პირობებს.

თერმული ბარიერი

დაცვითი ზონა, რომელიც დაფუძნებულია თერმული სენსორების ქსელზე და რეაგირებს სხეულის ან ობიექტის სითბოს გამოვლინებაზე. ეს სისტემა ხელს უწყობს უნებართვო შეღწევის დადგენას და დაცვითი ღონისძიებების დროულ განხორციელებას.

თერმული გამოსხივების მიმღები; 2) დეტექტორის გამოსხივების მიმღები და გამგზავნი ელემენტები.

თერმული კამერა

კამერა, რომელიც აფიქსირებს ობიექტების თერმულ გამოსხივებას და ქმნის სურათს ტემპერატურული სხვაობის საფუძველზე.

თვითგანახლებადი დამცავი სისტემა

სისტემა, რომელსაც გააჩნია ტექნოლოგია თვითდიაგნოსტიკისა და ავარიული სეგმენტების ავტომატური აღდგენისთვის.

თვითდაზიანებადი ბარიერი

დამცავი სისტემა, რომელიც დარღვევის მცდელობის შემთხვევაში ავტომატურად ქმნის დამატებით დაბრკოლებას ან ანადგურებს წვდომის შესაძლებლობას.

თვითმართვადი დრონების გამოყენება დაცვისთვის

დრონები, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ ტერიტორიის მონიტორინგს და რეაგირებას ინციდენტებზე.

თვითრეაბილიტაციის სისტემა (Self-Healing Security Systems)

სისტემა, რომელიც მცირე დაზიანების ან სისტემური ხარვეზის შემთხვევაში ავტომატურად აღადგენს თავის ფუნქციონირებას.

თვითრეგენერირებადი ბარიერი – დაცვითი ბარიერი, რომელიც შექმნილია მცირე დაზიანების შემთხვევაში საკუთარი სტრუქტურის ავტომატურად აღდგენის შესაძლებლობით. მისი მიზანია უზრუნველყოს პერმანენტული დაცვის სარგებელი, საჭიროების შემთხვევაში მწყობრიდან გამოსვლის გარეშე და დამატებითი ხარჯების მინიმიზაცია.

თვითსწავლებადი ვიდეო ანალიზი (Self-learning Video Analytics)

ტექნოლოგია, რომელიც ანალიზებს ვიდეო მონაცემებს და სწავლობს გარემოს ნორმალურ ქცევას საფრთხეების გამოვლენის გასაუმჯობესებლად.

იარაღის გამოყენების სამართლებრივი ჩარჩო

კანონის მოთხოვნები დაცვის პერსონალის მიერ იარაღის ფლობისა და გამოყენების შესახებ.

იდენტიფიკაცია – პიროვნების ან ობიექტის უნიკალური თვისებების საფუძველზე მათი ამოცნობისა და დადგენის პროცედურა.

იდენტიფიკაცია - პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხდება პიროვნების უნიკალური მონაცემების დამოწმება დაშვების გასაწევად.

ინდივიდუალური გადაწყვეტილებების შექმნა

სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით დამზადებული დაცვის სისტემების მოდელირება და ოპტიმიზაცია.

ინდივიდუალური დაცვის სისტემების ტესტირება და ექსპლუატაციაში გაშვება

დასრულებული სისტემების ტესტირება, ნორმების შესაბამისობის დადასტურება და სისტემის საბოლოო ჩაბარება ოპერაციულ რეჟიმში.

ინსტრუქცია

წესდება, რომელიც აღწერს სავალდებულო შესასრულებელ მოქმედებებს.

ინტეგრირებული განგაშის სისტემა

სისტემა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის განგაშის სისტემებს (ქურდობა, ხანძარი, გაზი და სხვა) ერთიან მართვაში.

ინტეგრირებული დაშვების მართვა

დაშვების სისტემის გაერთიანება სხვა უსაფრთხოების სისტემებთან (ვიდეო თვალთვალი, სიგნალიზაცია და სხვ.) ერთიან პლატფორმაზე.

ინტეგრირებული დაცვის სისტემა

ბარიერების სისტემა, სადაც სხვადასხვა ტიპის დაბრკოლებები სტრუქტურულად კავშირშია ერთმანეთთან ერთიანი დაცვის ქსელის შესაქმნელად.

ინტეგრირებული დეტექციის ბარიერი – ბარიერი, რომელშიც უშუალოდ არის

ინტეგრირებული სენსორული დეტექციის სისტემები. მისი მიზანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეფექტური მონიტორინგისა და მყისიერი რეაგირების საშუალებით, რაც შესაძლებელს ხდის დაცული ზონის კონტროლს ერთიან კონსტრუქციაში.

ინტეგრირებული ზონირების სისტემა

სისტემა, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ დაბრკოლებებს, სენსორულ დეტექციას და დაშვების კონტროლს ერთიანი მართვის ჩარჩოში.

ინტეგრირებული მობილური აპლიკაციები დაცვისთვის
დაცვითი სისტემების მართვის შესაძლებლობა მობილური მოწყობილობებიდან (რეპორტინგი, რეაგირება, სტატისტიკა).

ინტეგრირებული რეაგირების ცენტრები (Security Operation Centers - SOC)
ცენტრალიზებული პუნქტები, რომლებიც მართავენ უსაფრთხოების ყველა სისტემას და რეაგირებას კრიზისულ სიტუაციებზე.

ინტეგრირებული საგანგებო სიგნალიზაციის სისტემები
სისტემები, რომლებიც ერთიანდებიან განგაშის, ევაკუაციის, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა შეტყობინების სისტემებთან.

ინტეგრირებული უსაფრთხოების პლატფორმის შექმნა
სისტემების გაერთიანება ერთიან მართვის პლატფორმაში — დაშვება, ვიდეო, განგაში, პულტით მართვა.

ინტეგრირებული უსაფრთხოების სისტემა
დაცვითი ტექნიკური საშუალებებისა და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ქმნის ერთიან უსაფრთხოების გარემოს.

ინტეგრირებული უსაფრთხოების სისტემების უწყვეტი ოპტიმიზაცია
სისტემების რეგულარული ანალიზი და გაუმჯობესება ახალი საფრთხეების და ტექნოლოგიური ტენდენციების შესაბამისად.

ინტელექტუალური დაშვების სისტემა
სისტემა, რომელიც იყენებს ანალიტიკურ ალგორითმებს დაშვების გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციისთვის და საფრთხეების შემცირების მიზნით.

ინფორმატიულობა
გადაცემული, მიღებული ან ნაჩვენები შეტყობინებების რაოდენობა, რომელიც გადის დაცვის, სახანძრო ან დაცვით-სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით.

ინფორმაციის დაშიფვრა – მონაცემების გარდაქმნის პროცესი, რომლის შედეგადაც ინფორმაცია ხდება ხელმისაწვდომი და წასაკითხი მხოლოდ უფლებამოსილი პირისთვის, რითაც უზრუნველყოფილია მონაცემების უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა.

ინფორმაციის უსაფრთხოება
მონაცემთა დაცვის მდგომარეობა მათი გაუთქმელობის, მთლიანობის და ხელმისაწვდომობის დარღვევისგან.

ინფორმაციის შეგროვების პუნქტი
ავტომატური დისტანციური ცენტრი, რომელიც აგროვებს ინფორმაციას რამდენიმე საგანგაშო სისტემიდან და გადასცემს მას ცენტრში.

ინფორმაციული ტევადობა

დაცული ობიექტების ან კონტროლირებადი ხაზების რაოდენობა, რომელთა შესახებ ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს დაცვის ან სახანძრო სისტემის ტექნიკური საშუალებებით.

ინფორმაციული ტევადობა

დაცული ობიექტების ან კონტროლირებადი ხაზების რაოდენობა, რომელთა შესახებ ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს დაცვის ან სახანძრო სისტემის ტექნიკური საშუალებებით.

ინფორმაციული შეტევა – მიზანმიმართული ზემოქმედება ინფორმაციულ სისტემებზე, რომლის მიზანია მონაცემების შეცვლა, განადგურება ან მოპარვა, რაც საფრთხეს უქმნის სისტემის უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობას.

ინფრაწითელი ბარიერი – დაცვის სისტემა, რომელიც იყენებს ინფრაწითელი სხივების ტექნოლოგიას ობიექტზე უნებართვო შეღწევის გამოვლენის მიზნით. ამ ბარიერი უზრუნველყოფს უსაფრთხოების მაღალი დონის კონტროლს, გამოსწორების მყისიერ შესაძლებლობას და შეღწევის მცდელობის ოპერატიულ იდენტიფიცირებას.

ინციდენტების ანალიზის მოდული

პროგრამული კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული სიგნალების, რეაგირების ეფექტიანობის და უსაფრთხოების მდგომარეობის სტატისტიკურ და მიზეზობრივ ანალიზს.

ინციდენტების მართვის ზონური მოდელი

სისტემა, რომელიც აფიქსირებს, კლასიფიცირებს და მართავს უსაფრთხოების ინციდენტებს თითოეული ზონის დონეზე.

ინციდენტების მოდელირება სატესტო პერიოდში

მიმდინარეობს წინასწარ დაგეგმილი სცენარების მიხედვით ინციდენტების იმიტაცია სისტემის რეაგირების შესაფასებლად.

ინციდენტების სამართლებრივი დოკუმენტირება

შემთხვევების და სამართლებრივი ფაქტების სათანადო დაფიქსირების ვალდებულება.

ინციდენტების სწრაფი გამოვლენა და რეაგირება

ოპერატიული სიგნალიზაციის და რეაგირების სისტემა კრიტიკული ინფრასტრუქტურის საფრთხის გამოვლენისთანავე.

ინციდენტზე რეაგირება – მოქმედებების კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება

უსაფრთხოების ინციდენტის გამოვლენის შემდეგ, მიზნად ისახავს მისი შედეგების შემცირებას და სიტუაციის სწრაფ მართვას.

ინციდენტის გამოძიება – პროცედურა, რომლის მიზანია უსაფრთხოების ინციდენტის მიზეზების, გარემოებების და შედეგების გამოვლენა და ანალიზი.

იპ კამერა (IP Camera)

ვიდეო კამერა, რომელიც იყენებს ინტერნეტ პროტოკოლს (IP) ვიდეოს გადასაცემად ქსელური ინფრასტრუქტურის მეშვეობით.

იძულებითი და გადაუდებელი ზომების გამოყენების სამართლებრივი ჩარჩო

სამართლებრივი წესები ძალის, სპეციალური საშუალებების და იარაღის გამოყენების შემთხვევაში.

კერძო დაცვის ორგანიზაცია — საწარმო, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ნორმებით და სტანდარტებით განსაზღვრული ამოცანები, სპეციალურად შექმნილი დაცვის მომსახურების გაწევის მიზნით, რეგისტრირებული კანონით დადგენილი წესით და რომელსაც გააჩნია შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა (ლიცენზია) კერძო დაცვის საქმიანობის განხორციელებისთვის.

კერძო დაცვის ორგანიზაციის (კდო) მუშაობის შედეგები — შემკვეთის საწარმოს სტაბილური ფუნქციონირება; დაცვის მიერ დადგენილი უსაფრთხოების რეჟიმის ცვლილებებზე, დარღვევებზე, ავარიულ და საგანგებო სიტუაციებზე დროული და ადეკვატური რეაგირება.

კერძო დაცვის საქმიანობა (დაცვის მომსახურება) — საქმიანობის განსაკუთრებული სახე, რომელიც გულისხმობს შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გაცემულ სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), რომელიც უფლებას აძლევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, უზრუნველყონ მომსახურება მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე კლიენტთა ქონებრივი (მოდრავი და უმდრავი ქონება) უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით. დაცვის მომსახურება ხორციელდება შემსრულებლის მიერ ფასიანი ხელშეკრულების საფუძველზე, მომსახურების მომხმარებლის სახსრებით, დადგენილი პირობებისა და სამუშაო გრაფიკის შესაბამისად.

კერძო დაცვის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება
კანონები და ნორმები, რომლებიც არეგულირებენ კერძო დაცვის კომპანიების საქმიანობას.

კიბერფიზიკური დაცვის სისტემა (CPS Security)

სისტემა, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ და ციფრულ უსაფრთხოებას, ერთიან მართვის ჩარჩოში.

კომბინირებული გადაცემა

სიგნალის ერთდროული გადაცემა რამდენიმე არხზე მონაცემთა სანდოობის და დაცულობის გაზრდის მიზნით.

კომბინირებული სენსორული სისტემა – მრავალფეროვანი ტექნოლოგიური გადაწყვეტა, რომელიც აერთიანებს რამდენიმე განსხვავებულ ტიპის სენსორს ერთიანი მიზნის — შეღწევის სწრაფი და ზუსტი გამოვლენის — მისაღწევად. ამ სისტემის მახასიათებლები მოიცავს სენსორების სინქრონიზაციას, დეტექციის სიზუსტის გაზრდას და ოპერატიულობის უმაღლესი დონის უზრუნველყოფას.

კომბინირებული სისტემა

სისტემა, რომელიც განკუთვნილია რამდენიმე საფრთხის გამოვლენისთვის.

კომპლექსური საფრთხეების ანალიზი

საფრთხეების ურთიერთდამოკიდებულების და კომპლექსური ზემოქმედების შეფასება ობიექტზე.

კომპოზიტური დამცავი პანელები – მსუბუქი და მაღალი გამძლეობის მქონე პანელები, რომლებიც განკუთვნილია სწრაფი დაცვის საჭიროების უზრუნველსაყოფად. მათი დიზაინი შემუშავებულია მაღალი ეფექტურობის, მოქნილობის და გამძლეობის უზრუნველსაყოფად, რაც მნიშვნელოვანია კრიტიკული პირობებში გამოყენებისას.

კომპრესიის სტანდარტი H.264

ვიდეოს კომპრესიის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის და შედარებით მცირე მოცულობის ვიდეო ფაილებს.

კომპრესიის სტანდარტი H.265 (HEVC)

ახალი თაობის ვიდეო კომპრესიის სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს H.264-ზე ორჯერ უკეთეს შეკუმშვას იგივე ვიდეო ხარისხით.

კომუნიკაციის და ქცევის სტანდარტები დაცვის დროს

პროტოკოლები და ეთიკური წესები, რომლებიც განსაზღვრავენ პერსონალის ქცევას კლიენტებთან, ვიზიტორებთან და კრიზისულ სიტუაციებში.

კონსიერჟის სამსახური — საცხოვრებელი მრავალბინიანი სახლების (სახლის მესაკუთრეთა ამხანაგობის, მრავალბინიანი სახლის, მესაკუთრეთა თანამეგობრობის) და აგარაკის უძრავი ქონების (აგარაკების დასახლებების, საზაფხულო და სამებადო კოოპერატივების) დაცვის სამსახური.

კონტრაქტის სტანდარტული პირობები დაცვის სერვისებზე

სამართლებრივი მოთხოვნები დაცვის სერვისების გაწევის ხელშეკრულებების შემადგენლობაში.

კონტროლირებადი ბლოკირების სექცია

პერიმეტრის ან შესასვლელის ნაწილი, რომელიც აღჭურვილია სისტემით სექციის ავტომატური დახურვისა და გახსნისთვის.

კონტროლირებადი ფართობი

დეტექტორის გამოვლენის ზონის ფართობი.

კრიზისული სიტუაციის მართვის ოპერატიული ცენტრი

ცენტრალიზებული პუნქტი, რომელიც მართავს კრიზისულ სიტუაციებს და კოორდინირებს ყველა ევაკუაციის და რეაგირების პროცესს.

კრიზისული სიტუაციის შეტყობინების სისტემა

სისტემა, რომელიც ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას პერსონალს და ვიზიტორებს საგანგებო სიტუაციის დაწყების შესახებ.

კრიმინალური საფრთხე – პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია ობიექტზე უნებართვო შეღწევასთან ან მის ტერიტორიაზე უკანონო, მათ შორის ტერორისტული, ქმედებების განხორციელებასთან, რაც ქმნის რისკს უსაფრთხოების დარღვევისა და ზიანის მიყენებისთვის.

კრიმინალური საფრთხისგან დაცვა – ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია ობიექტების კრიმინალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ, კრიმინალური ქმედებების პრევენციისა და მათი შედეგების მინიმიზაციის მიზნით.

კრიმინალური საფრთხისგან დაცვის ტექნიკური საშუალება – სერიული ან ერთეული წარმოების ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც შედის დაცვის სისტემის შემადგენლობაში და უზრუნველყოფს კრიმინალური საფრთხის პრევენციას, რეაგირებასა და ეფექტური დაცვის განხორციელებას.

კრიმინალური უსაფრთხოება – მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების, ქონების, საზოგადოების და სახელმწიფოს დაცვას კრიმინალური საფრთხეებისგან, მათი პრევენციისა და შესაბამისი უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებით.

კრიტიკულად მნიშვნელოვანი ობიექტი – ობიექტი, რომლის ფუნქციონირების შეწყვეტა ან დარღვევა იწვევს ეკონომიკის მართვის შესაძლებლობების დაკარგვას, სერიოზულ უარყოფით ცვლილებებს და მოსახლეობისა თუ პერსონალის უსაფრთხოების მნიშვნელოვნად შემცირებას.

კრიტიკული ინფრასტრუქტურის პოსტ ინციდენტური ანალიზი

ინციდენტის შემდეგ ჩატარებული დეტალური ანალიზი, რომლის მიზანია მიზეზების დადგენა, უსაფრთხოების ღონისძიებების გაუმჯობესება და ოპერაციული მდგრადობის ამაღლება.

კრიტიკული ინფრასტრუქტურის რისკების ანალიზი

ობიექტების მოწყვლადობის და საფრთხის დონის რეგულარული შეფასება უსაფრთხოების ღონისძიებების დასახვეწად.

კრიტიკული ინფრასტრუქტურის სარეზერვო სისტემები

დამატებითი ინფრასტრუქტურული კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ოპერაციების გაგრძელებას ძირითადი სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

კრიტიკული ინფრასტრუქტურის სისტემის დაცვა:

ენერგეტიკული, სატრანსპორტო, წყალმომარაგების, საკომუნიკაციო და სახელმწიფო სისტემების კომპლექსი, რომლის მწყობრიდან გამოყვანა სერიოზულ საფრთხეს უქმნის

საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და ეკონომიკას.

სპეციალიზებული უსაფრთხოების ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს კრიტიკული ობიექტების მუდმივ დაცვას და ოპერაციულ მდგრადობას.

კრიტიკული ინფრასტრუქტურის უწყვეტობის უზრუნველყოფა

სისტემები და სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ობიექტის ფუნქციონირების უწყვეტობას კრიზისულ სიტუაციებში.

კრიტიკული ობიექტების ინტეგრირებული უსაფრთხოების სისტემა

დაცვის მოდელი, რომელიც აერთიანებს ვიდეო თვალთვალს, დაშვების მართვას, სიგნალიზაციას და რეაგირების გუნდებს ერთიან პლატფორმაზე.

კრიტიკული ობიექტების უსაფრთხოების ზონირება

კრიტიკული ინფრასტრუქტურის გეოგრაფიული და ფუნქციური დაყოფა სხვადასხვა დაცვის დონეზე.

კრიტიკული ობიექტების უსაფრთხოების სტანდარტები

საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის აუცილებელ მოთხოვნებს.

კრიტიკული წერტილების იდენტიფიკაცია და გაძლიერება

ობიექტზე ყველაზე სუსტი ადგილების გამოვლენა და სპეციალური დაცვის ღონისძიებების ინტეგრირება.

ლიცენზიის მოპოვების მოთხოვნები

სამართლებრივი და ტექნიკური პირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია დაცვის კომპანიის ლიცენზირებისთვის.

ლოკალური დაცვა – ზონების დაცვა, რომლის ფარგლებში დაცვის ტექნიკური საშუალებების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გადაიცემა მხოლოდ ობიექტის შიდა ფარგლებშივე, რაც უზრუნველყოფს მონაცემების ლოკალურ კონტროლსა და უსაფრთხოებას.

ლოკალური პერიმეტრის გამაგრება

შერჩეული ობიექტის ან ტერიტორიის კონკრეტული სექციის დაცვა დამატებითი საინჟინრო და ფიზიკური საშუალებებით.

მაქსიმალურად-დიფერენციალური თერმული სახანძრო დეტექტორი

თერმული დეტექტორი, რომელიც აერთიანებს მაქსიმალური და დიფერენციალური დეტექტორების ფუნქციებს.

მაქსიმალური თერმული სახანძრო დეტექტორი

თერმული დეტექტორი, რომელიც აქტიურდება გარემოს ტემპერატურის განსაზღვრული მნიშვნელობის გადაჭარბებისას.

მაქსიმალური მოქმედების მანძილი

დეტექტორის მოქმედების მანძილი, რომელიც მაქსიმალურ მგრძნობელობაზეა დაყენებული.

მაქსიმალური სამუშაო მანძილი

დეტექტორის მოქმედების მაქსიმალური მანძილი, რომლის დროსაც სრულდება სტანდარტების მოთხოვნები (ГОСТ Р 50777 - 95).

მაღალი რისკის ზონა A ტიპის ზონა

ტერიტორია, რომელიც მოითხოვს უმაღლეს დონეზე დაცვას და კონტროლს.

მეორე დაცვის რგოლი (შიდა პერიმეტრი)

დაცვითი ზონა ობიექტის შიგნით, რომელიც იცავს ცენტრალურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან უბნებს.

მესამე დაცვის რგოლი (ბირთვული ზონა)

ობიექტის ყველაზე დაცული ნაწილი, სადაც განთავსებულია კრიტიკული მნიშვნელობის რესურსები ან სისტემა.

მექანიკური ბარიერის სისტემა

დაბალტექნოლოგიური, თუმცა ეფექტური დამცავი საშუალება, რომელიც ფუნქციონირებს ელექტრონიკის გარეშე.

მზის ენერგიაზე მომუშავე ბარიერი – დაცვითი სისტემა, რომელიც იყენებს მზის ენერგიას სრულად ან ნაწილობრივ ოპერირების პროცესში. ეს სისტემა გამოირჩევა ეკოლოგიური ეფექტიანობით, ხარჯების შემცირებით და ენერგიის უწყვეტი მიწოდების შესაძლებლობით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მისი გამოყენების მოქნილობასა და მდგრადობას.

მიზნობრივი რისკების ანალიზი

შერჩეული კრიტიკული ზონების, სისტემებისა და პროცესების განსაკუთრებული ანალიზი.

მინიმალური სამუშაო მანძილი

დეტექტორის მოქმედების მინიმალური მანძილი, რომლის დროსაც სრულდება სტანდარტების მოთხოვნები (ГОСТ Р 50777 - 95).

მისვლის დრო

დრო, რომელიც ესაჭიროება დაცვის ეკიპაჟს ობიექტზე მისასვლელად, ოპერატორის (დისპეტჩერის) ბრძანების მიღებიდან.

მიტოვებული ობიექტის გამოვლენა

ვიდეო ანალიტიკური ფუნქცია, რომელიც აფიქსირებს დაუტოვებელ ობიექტებს (მაგალითად, ჩანთას) საჯარო ან დაცულ სივრცეში.

მიღება-ჩაბარების ჟურნალი - დოკუმენტი, რომელიც აფიქსირებს მორიგეობის გადაცემის პროცესს დაცვის ჯგუფებს შორის, შეიცავს ინფორმაციას ობიექტის მდგომარეობის, დაცვის

ტექნიკური საშუალებების, გამოვლენილი დარღვევების ან ინციდენტების შესახებ, აგრეთვე მორიგეობის ჩაბარებული და მიმღები თანამშრომლების ხელმოწერებს.

მობილური აპლიკაცია ვიდეო მონიტორინგისთვის

სპეციალურად შექმნილი აპლიკაცია, რომელიც იძლევა ვიდეო კამერების რეალურ დროში კონტროლს მობილური მოწყობილობიდან.

მობილური და დროებითი უსაფრთხოების სისტემების დიზაინი

დროებითი ობიექტებისთვის (ღონისძიებები, მშენებლობები) სწრაფად მონტაჟებადი და ადვილად მორგებადი დაცვის სისტემების პროექტირება.

მობილური დაცვითი მოდულები

ტრანსპორტირებადი დაცვის სისტემები, რომლებიც შეიძლება სწრაფად განლაგდეს დროებით ან გადაუდებელ სიტუაციებში.

მობილური ვიდეო დაკვირვება

ვიდეო დაკვირვების სისტემები, რომლებიც განკუთვნილია მოძრავ პლატფორმებზე (მაგალითად, ავტომობილებზე) დასაყენებლად.

მობილური პერიმეტრული სისტემა – ტრანსპორტირებადი და სწრაფად დამონტაჟებადი უსაფრთხოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დროებითი ობიექტებისა და ღონისძიებების დაცვას.

მობილური პულტის სისტემა

პერიოდული ანალიზი, რომელიც აფასებს კონკრეტული საფრთხის განხორციელების შანსს.

საფრთხის ნეიტრალიზაცია

ქმედებები, რომლებიც მიმართულია უკვე გამოვლენილი საფრთხის აღმოფხვრაზე ან მისი ზემოქმედების მინიმიზაციაზე.

საფრთხის პრიორიტეტიზაციის მოდელი

საფრთხეების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ადგენს რეაგირების პრიორიტეტებს კრიტიკული ობიექტების მიხედვით.

საფრთხის პრიორიტეტიზაციის ჩაშენება პროექტში

დიზაინისას საფრთხეების პრიორიტეტების გათვალისწინება და შესაბამისი ზომების ინტეგრირება.

საფრთხის სერიოზულობის შეფასების სკალა

სტანდარტიზებული მეთოდის, რომელიც აფასებს საფრთხის სიმძიმეს (მაგალითად: დაბალი, საშუალო, მაღალი, კრიტიკული).

საფრთხის შეფასება

მეთოდის, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება საფრთხის დონე, მისი გავლენა ობიექტზე და შესაძლო შედეგები.

საქართველოს კანონი „კერძო უსაფრთხოების საქმიანობის შესახებ“

ფუნდამენტური სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს კერძო დაცვის საქმიანობის ლეგალურ ჩარჩოს.

საყრდენი ბეტონის ბარიერი

მძიმე ბეტონის კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება ფიზიკური დაბრკოლების შექმნისთვის პერიმეტრზე ან წვდომის პუნქტზე.

საშიში სიტუაცია: გარემოებების ერთობლიობა, როდესაც ადამიანები, ქონება ან გარემო ექვემდებარება საფრთხეს გარკვეული რისკის დონით.

საშიშროება — მდგომარეობა, როდესაც ხდება რეალური გარკვეული პირობების განხორციელების შესაძლებლობა, რაც იწვევს არასასურველ მოვლენებსა და პროცესებს.

საშუალო რისკის ზონა **B** ტიპის ზონა ზონა, სადაც დასაშვებია გარკვეული რეგულირებადი წვდომა, თუმცა დაცული უნდა იყოს კონტროლის ქვეშ.

სახანძრო სიგნალიზაცია — ავტომატიზებული კომპლექსი, რომელიც შედგება სახანძრო დეტექტორებისგან (სენსორებისგან), რომლებიც გადასცემენ განგაშის სიგნალებს ტემპერატურის მომატების, დაკვამლიანების ან ღია ცეცხლის გაჩენის შესახებ დაცულ ობიექტზე ცენტრალიზებულ დაკვირვების პულტზე. დაყენების მთავარი მიზანია ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენა, შენობების სახანძრო უსაფრთხოების დონის ამაღლება და ხანძრის შედეგად მატერიალური ზარალის შემცირება.

სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟი — სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟის სამუშაოები მოიცავს: სახანძრო სიგნალიზაციის ცენტრალური სისტემის, კვების ბლოკების მონტაჟს, შლესების გაყვანას, სენსორების (დეტექტორების) და ხანძრის შესახებ ადამიანთა შეტყობინების საშუალებების დამონტაჟებას. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მიხედვით, ობიექტები შეიძლება აღიჭურვოს დაკვამლიანების მოცილების სისტემებითა და ხანძრის ქრობის ავტომატიზაციის სისტემებით.

სახანძრო-საგანგაშო სიგნალიზაცია — სიგნალიზაცია, რომელიც ასრულებს როგორც საგანგაშო, ისე სახანძრო ფუნქციას. სახანძრო-საგანგაშო სიგნალიზაციის სხივების ნაწილი

პასუხისმგებელია ობიექტზე შეღწევის გამოვლენაზე, ხოლო ნაწილი ანალიზებს ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობას.

სახის ამოცნობა (Face Recognition)

ტექნოლოგია, რომელიც იდენტიფიცირებს ან ავთენტიფიცირებს პიროვნებებს სახის ბიომეტრიული მახასიათებლების გამოყენებით.

სენსორული ველის ზუსტი მორგება – დეტექტორების კონფიგურაციის ოპტიმიზაციის პროცესი, რომელიც განკუთვნილია დეტექციის ზონის ზუსტი მორგებისთვის ობიექტის არქიტექტურასა და კონკრეტულ რისკებზე. მისი მიზანია უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობის გაზრდა, გაძლიერებული სიზუსტე და უნებართვო შეღწევის პრევენცია.

სენსორული ქსელების განვითარება (IoT + უსაფრთხოება)

ინტერნეტთან დაკავშირებული სენსორების მასობრივი გამოყენება პერიმეტრის, ტემპერატურის, ვიბრაციის და ქცევის მონიტორინგისთვის.

სენსორული ქსელების ინტელექტუალური მართვა

პლატფორმა, რომელიც აკონტროლებს მრავალ სენსორულ სისტემას ერთიანი ანალიზის საფუძველზე.

სენსორული წვდომის მოდული - მოწყობილობა, რომელიც იყენებს სენსორულ ეკრანს ან ზედაპირს პიროვნების იდენტიფიკაციისთვის.

სერთიფიკატის ვალიდურობის ვადა

სტანდარტული პერიოდი, რომლის განმავლობაში სერთიფიკატი ითვლება მოქმედად და საჭიროებს განახლებას.

სერთიფიცირების პროცედურა

ოფიციალური გამოცდების და შეფასების პროცესი, რომლის გავლის შედეგად პერსონალი იღებს სერთიფიკატს უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისობაზე.

სიგნალიზაცია – ტექნიკური სისტემა, რომელიც განკუთვნილია უსაფრთხოების დარღვევების, ობიექტზე არასანქცირებული შეღწევის ან სხვა კრიტიკული მოვლენების დაფიქსირებისა და შესაბამისი შეტყობინებების მიწოდებისთვის, უსაფრთხოების მონიტორინგის და რეაგირების გაძლიერების მიზნით.

სიგნალიზაციის ამოქმედება — „განგაშის“ სიგნალის მიღება დაცვის პულტზე სხვადასხვა დეტექტორებისგან.

სიგნალიზაციის საშუალებები და სისტემები.

ტექნიკური სისტემა, რომელიც აფიქსირებს დაცულ ობიექტზე წესების დარღვევას და გადასცემს შესაბამის შეტყობინებას.

სიგნალიზაციის სისტემის ამოქმედება
სიგნალიზაციის სისტემების დეტექტორებიდან საგანგაშო სიგნალის მიღება დაცვის პულტზე.

სიგნალიზაციის სისტემის მოდელირება

სიგნალიზაციის დეტექტორების ტიპების და განლაგების შერჩევა კრიტიკულ წერტილებზე.

სიგნალიზაციის სისტემის მოვლა

სენსორების, განგაშის პულტების და სიგნალის გადამცემების რეგულარული შემოწმება და პროფილაქტიკური მომსახურება.

სიგნალიზაციის სისტემის ოპტიმიზაცია

მონიტორინგის, გადაცემის და რეაგირების პროცესების გაუმჯობესება ეფექტიანობის, სისწრაფის და საიმედოობის გაზრდის მიზნით.

სიგნალის არქივაციის სისტემა

ტექნიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მიღებული და დამუშავებული სიგნალის გრძელვადიან შენახვას და დაცვას.

სიგნალის გადამცემი მოწყობილობა

ტექნიკური საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს განგაშის სიგნალის გადაცემას ობიექტიდან პულტზე ან სხვა კონტროლის წერტილზე.

სიგნალის გადაცემა

პროცესი, რომლის მეშვეობითაც სიგნალი გადაიცემა ობიექტიდან დაცვის მართვის პულტზე ან სხვა კონტროლის ცენტრში.

სიგნალის გადაცემის არხი

კომუნიკაციის გზა (კაბელი, რადიო არხი, IP ქსელი), რომლის მეშვეობითაც სიგნალი გადაეცემა დეტექტორიდან პულტზე ან მართვის ცენტრში.

სიგნალის გადაცემის ხარვეზი

სიტუაცია, როდესაც სიგნალი ნაწილობრივ ან მთლიანად იკარგება გადაცემის პროცესში.

სიგნალის განმეორებითი გადაცემა

სიგნალის მრავალჯერადი გაგზავნა არხზე, რათა უზრუნველყოს მისი მიღება ტექნიკური შეფერხებების შემთხვევაში.

სიგნალის მიმღები მოწყობილობა

ტექნიკური სისტემა ან მოდული, რომელიც იღებს და ამუშავებს განგაშის სიგნალს გადამცემი წყაროდან.

სისტემების ავტომატური თვითდიაგნოსტიკა

ტექნოლოგია, რომელიც რეგულარულად ამოწმებს უსაფრთხოების სისტემების გამართულობას და ატყობინებს ხარვეზების არსებობაზე.

სისტემის გაუმართაობა

მთლიანი სისტემის ან მისი ნაწილის მდგომარეობა, როდესაც ვერ ხორციელდება დასახული დაცვის ფუნქციები.

სისტემის მიღება (Commissioning)

სატესტო ექსპლუატაციის დასრულების და ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ სისტემის ოფიციალური გადმოცემა.

სისტემის ოპტიმიზაციის საწყისი რეკომენდაციები

ტესტირებისა და საწყისი ექსპლუატაციის შედეგების საფუძველზე უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

სისტემის საიმედოობა

სისტემის უნარი, განსაზღვრული ალბათობით აღმოაჩინოს შელწევა.

სისტემის ხაზოვანი ნაწილი

დაცვის და საგანგაშო სიგნალიზაციის ხაზებისა და საკავშირო ხაზების ერთობლიობა.

სისტემური განახლება და მოდერნიზაცია

დაცვის სისტემების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ახალი ტექნოლოგიების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

სისტემური დიაგნოსტიკის მუდმივი რეჟიმის ამოქმედება

სისტემების უწყვეტი დიაგნოსტიკის და პრობლემების ადრეული გამოვლენის მექანიზმის დაყენება.

სისტემური ტექნიკური შემოწმება

პერიოდული შემოწმება დაცვის სისტემების მდგომარეობის, აღჭურვილობის გამართულობის და პროგრამული უზრუნველყოფის სისწორის დასადგენად.

სიღრმისეული უსაფრთხოების სისტემა

დაცვის სტრატეგია, რომელიც მოიცავს რამდენიმე თანმიმდევრულ ფიზიკურ და ტექნიკურ ბარიერს ობიექტის სხვადასხვა დონეზე.

სიღრმისეული ფიზიკური დაცვის სისტემა

მრავალშრიანი ფიზიკური დაბრკოლებების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის თანმიმდევრულ დაცვას სხვადასხვა საფრთხის წინააღმდეგ.

სოციოინჟინერიისგან დაცვის ტექნოლოგიები

ტექნოლოგიური ბარიერები ადამიანის შეცდომით გამოწვეული უსაფრთხოების ხარვეზებისგან.

სპეციალიზებული ბარიკადები

მაღალი გამძლეობის კონსტრუქციები, რომლებიც შექმნილია მასობრივი შეტევების ან

ბუნებრივი კატასტროფების პირობებში პერიმეტრის დაცვის გასაძლიერებლად. ისინი უზრუნველყოფენ უსაფრთხოების მაღალ დონეს კრიტიკულ სიტუაციებში.

სპეციალიზებული სერტიფიკატები

დამატებითი სერტიფიკატები, რომლებიც მოიცავს სპეციფიკურ უნარებს, მაგალითად: VIP დაცვა, ინციდენტების გამოძიება, კრიზისული მენეჯმენტი.

სპეციალური დაცვის საშუალებები

აეროზოლური ბალონები (ცრემლსადენი ნივთიერებით), რეზინის ხელკეტები, ელექტროშოკერები, ხელბორკილები და სხვა საშუალებები, რომლებიც გამოიყენება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სპეციალური საშუალებები — საშუალებები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად განკუთვნილია სამსახურებრივი მიზნებისთვის — მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, საკუთრების დასაცავად, აგრეთვე სამართალდამრღვევთა დასაკავებლად (გაზის ბალონები, რეზინის ხელკეტები, ელექტროშოკერები, ხელბორკილები და სხვა).

სპეცსაშუალებების გამოყენების ტრენინგი

ბალონები, ხელკეტები, ხელბორკილები და სხვა სპეცსაშუალებების სწორი და უსაფრთხო გამოყენების წესები.

სპირალური დამცავი ბარიერი (B/C)

სამგანზომილებიანი სპირალის ფორმის ლენტური კონსტრუქცია, რომელიც ქმნის ძლიერ ფიზიკურ დაბრკოლებას ობიექტზე შეღწევის წინააღმდეგ.

სრული (კომპლექსური) საინჟინრო დაცვითი კომპლექსი

დაცვითი ინფრასტრუქტურის კომპლექსი, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ ბარიერებს, სენსორულ სისტემებს, განგაშის სიგნალიზაციას და მართვის პლატფორმებს ერთიან სისტემაში.

სტანდარტული სამიზნე ადამიანი წონით 50-70 კგ, სიმაღლით 165-180 სმ, ჩაცმული სტანდარტულ ბამბის შარვალსა და ქურთუკში, თავზე ქუდით; 2) კონსტრუქციული ელემენტი, რომლის ინფრაწითელი გამოსხივების მახასიათებლები მსგავსია ადამიანის გამოსხივების.

სტატისტიკური ანალიზი განგაშების

მიღებული სიგნალების, რეაგირების დროების და შედეგების რეგულარული ანალიზი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის.

სტაციონარული პოსტი — დაცვის პოსტი, რომელიც მდებარეობს გარკვეულ ტერიტორიულ მონაკვეთზე და არ გულისხმობს მცველის გადაადგილებას.

სწრაფად განლაგებადი დამცავი სისტემა

დამცავი საშუალება, რომელიც განკუთვნილია საგანგებო სიტუაციებში სწრაფი მონტაჟისთვის და განლაგებისთვის.

სწრაფი რეაგირების ოპერატიული ცენტრი – ცენტრალიზებული მართვის პუნქტი, რომელიც აკონტროლებს, კოორდინირებს და ხელმძღვანელობს მობილური ჯგუფების მოქმედებებს. მისი მიზანია სწრაფი რეაგირება უსაფრთხოების ინციდენტებზე, კოორდინირებული ოპერაციების უზრუნველყოფა და კრიტიკული სიტუაციების ეფექტური მართვა.

სწრაფი რეაგირების სტანდარტი

დადგენილი წესები და ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს მობილური ჯგუფების მიერ განგაშზე რეაგირების დროის და მოქმედების ხარისხს.

სწრაფი რეაგირების ჯგუფი (სრჯ) — ავტომობილის ეკიპაჟი, რომელიც გამოდის საგანგაშო სიგნალიზაციის ამოქმედების ადგილზე დამრღვევთა გამოსავლენად და დასაკავებლად. სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად სრჯ-ის ეკიპაჟები ახორციელებენ ობიექტების პატრულირებას და განგაშის სიგნალის შემთხვევაში გამოდის უახლოესი მანქანა.

ტაქტიკური მოქმედებების მომზადება

ტრენინგი, რომელიც ასწავლის სწრაფ რეაგირებას, კონფლიქტური სიტუაციების მართვას და საგანგებო სიტუაციების ქცევის სტანდარტებს.

ტაქტიკური საინჟინრო უსაფრთხოების სისტემა

დამცავი ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოიყენება სპეციფიკური ოპერატიული სიტუაციებისთვის და უზრუნველყოფს მაქსიმალურ სისწრაფეს, დაცვას და მოქნილობას.

ტაქტიკური სენსორული ბარიერი – სპეციალური ტიპის დეტექტორული ბარიერი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური დანიშნულების ოპერაციების დროს სწრაფი შეღწევის გამოვლენისა და უშუალო რეაგირების უზრუნველყოფისთვის. მისი მიზანია უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა რთულ და სტრატეგიულ სიტუაციებში.

ტემპერატურულად მდგრადი დამცავი კონსტრუქცია

სპეციალური ბარიერები და სტრუქტურები, რომლებიც მდგრადია უკიდურესი ტემპერატურული ზემოქმედების (ცეცხლი, ყინვა) მიმართ.

ტერორიზმი – ძალადობის იდეოლოგია და პრაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო, ადგილობრივი ან საერთაშორისო ორგანოების გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებას მოსახლეობის დაშინების ან სხვა უკანონო ძალადობრივი ქმედებების გზით, რათა მიაღწიოს პოლიტიკურ, სოციალურ ან ეკონომიკურ მიზნებს.

ტერორისტული საფრთხე – პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ქმნის განზრახ უკანონო განადგურების, ზიანის მიყენების, ადამიანთა დაღუპვის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა საზოგადოებრივად საშიში შედეგების წარმოქმნის რისკს.

ტექნიკური გამაგრების აქტი

დოკუმენტი, რომელიც აღწერს ობიექტის ტექნიკური დაცვის საშუალებებით და აღჭურვილობით უზრუნველყოფის დონეს, რომელიც იცავს ობიექტს არასანქცირებული შეღწევისგან.

ტექნიკური დარღვევა – უსაფრთხოების სისტემის ან მისი ელემენტების მწყობრიდან გამოსვლისა ან არასრულფასოვანი ფუნქციონირების პროცესი, რაც გავლენას ახდენს სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე და საჭიროებს დროულ დიაგნოსტიკასა და შეკეთებას.

ტექნიკური დაცვითი ღონისძიება – დაცვითი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება საინჟინრო-ტექნიკური და დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, უსაფრთხოების სისტემის ეფექტური მუშაობის და ობიექტის დაცვითი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ტექნიკური მოკვლევის აქტი
დოკუმენტი, რომელიც აღწერს ობიექტის ტექნიკური დაცვის საშუალებებით და აღჭურვილობით უზრუნველყოფის დონეს, რომელიც იცავს ობიექტს არასანქცირებული შეღწევისგან.

ტექნიკური მომსახურება – ოპერაციების კომპლექსი ან ცალკეული ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის (უსაფრთხოების) ტექნიკური საშუალებების (სისტემების) გამართულობისა და მუშა მდგომარეობის შენარჩუნებას მათი ექსპლუატაციის, შენახვის და ტრანსპორტირების პროცესში.

ტექნიკური მომსახურების კონტროლის სისტემა
პლატფორმა ან პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური სამუშაოების ხარისხის რეგულარულ შემოწმებას.

ტექნიკური მომსახურების პროცესის დოკუმენტირება
ყველა ჩატარებული სამუშაოს დეტალური დაფიქსირება შესაბამის ჟურნალებში და სისტემურ პლატფორმებზე.

ტექნიკური მონიტორინგი — ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს დაცულ ობიექტზე სიტუაციისა და მოვლენების დისტანციურ კონტროლს (IP-ტელევიზია, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი, მობილური კავშირი, სატელიტური ანტენები, GPS და სხვა).

ტექნიკური პერსონალის სერთიფიცირება
სპეციალური მომზადება და სერთიფიცირება პირებისთვის, რომლებიც ახორციელებენ დაცვის სისტემების ტექნიკურ მომსახურებას.

ტექნიკური უზრუნველყოფის გრაფიკი
დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დაცვის სისტემების რეგულარული შემოწმებისა და მომსახურების პერიოდულობას.

ტექნიკური უზრუნველყოფის უწყვეტობის უზრუნველყოფა
სისტემური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ტექნიკური მომსახურება მიმდინარეობდეს რეგულარულად, სისტემატურად და ნებისმიერი შეფერხების გარეშე.

ტექნიკური უსაფრთხოების მოწყობილობებთან მუშაობის ტრენინგი

სიგნალიზაციის, დაშვების სისტემების და პერიმეტრული დაცვის ტექნოლოგიებთან მუშაობის პრაქტიკული ცოდნა.

ტექნოლოგიური ინოვაციების ინტეგრირება

უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება — ხელოვნური ინტელექტი, IoT, Smart Sensor Integration.

უარყოფის ზონა

ზონა, რომელიც უშუალოდ ეკვრის ობიექტის საინჟინრო ბარიერებს და თავისუფალია ნაგებობების, ხეების, ბუჩქებისგან და ა.შ., რაც უზრუნველყოფს დეტექტორების გამართულ მუშაობას.

უკონტაქტო დაშვების საშუალება

ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას ფიზიკური შეხების გარეშე (მაგალითად, RFID, NFC სისტემები).

ულტრაადქმის დეტექტორი – სენსორი, რომელიც აღიქვამს მაღალი სიხშირის ხმოვან ტალღებზე დაფუძნებულ მოძრაობას ან შეღწევის მცდელობას. ეს მოწყობილობა უზრუნველყოფს ზუსტ და სწრაფ რეაგირებას პერიმეტრის დაცვაზე, განსაკუთრებით რთულ და სტრატეგიულ პირობებში.

ულტრაბგერითი გამოსხივება

აქუსტიკური გამოსხივება, რომლის სიხშირე აღემატება 22 კგჰც-ს.

ულტრაბგერითი დაცვითი დეტექტორი

დეტექტორი, რომელიც ქმნის შეტყობინებას შეღწევის შესახებ ულტრაბგერითი ტალღების დარღვევის შედეგად.

უნებართვო წვდომის მცდელობის გამოვლენა – დაცვის მოწყობილობებისა და ტექნიკური სისტემების გამოყენების პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს სისტემაში ან მის ნაწილში უნებართვო წვდომის მცდელობის დაფიქსირებას და შესაბამისი უსაფრთხოების ღონისძიებების გააქტიურებას.

ურთიერთქმედება — დამკვეთისა და შემსრულებლის საქმიანი თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულებით დაკავშირებული მხარეები ერთობლივად წყვეტენ ობიექტის დაცვის ამოცანებს.

უსადენო GSM-დაცვა — GSM-დაცვის გავრცელებული სახელწოდება, რადგან GSM-კავშირი არ იყენებს კაბელებს.

უსადენო რადიო დაცვა — ობიექტების დაცვა რადიოარხის გამოყენებით განგაშის შეტყობინებების გადასაცემად.

უსაფრთხოება – მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას შიდა და გარე საფრთხეებისგან, სტაბილურობის, კეთილდღეობის და ეფექტური მართვის პირობებში.

უსაფრთხოების აუდიტი – პროცესებისა და პოლიტიკის სრულყოფილი ანალიზის პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის სისტემების შესაბამისობის, ეფექტურობის და სუსტი წერტილების გამოვლენას, რათა უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხოების სისტემის მუდმივი გაუმჯობესება და რისკების მინიმიზაცია.

უსაფრთხოების აუდიტი (Security Audit)

დეტალური შემოწმების და შეფასების პროცესი, რომელიც ადგენს ობიექტზე დაცვის სისტემების შესაბამისობას სტანდარტებთან და პრაქტიკულ ეფექტურობას.

უსაფრთხოების აუდიტის ტიპები

წინასწარი, პერიოდული და საგანგებო აუდიტები, რომლებიც ტარდება სხვადასხვა ეტაპზე.

უსაფრთხოების გაუმჯობესების გეგმის შემუშავება

დოკუმენტი, რომელიც შეიქმნება აუდიტის შედეგების საფუძველზე და განსაზღვრავს მოქმედებებს დაცვის დონის გასაზრდელად.

უსაფრთხოების დინამიური ზონირება

ზონირების სისტემა, რომელიც იცვლება რეალურ დროში ოპერაციული გარემოს და საფრთხის დონის მიხედვით.

უსაფრთხოების ვიდეო საშუალებები და სისტემები

ტექნიკური და პროგრამული საშუალებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის ვიზუალურ მონიტორინგს და ჩანაწერის შექმნას.

უსაფრთხოების ზონების მონიტორინგის სისტემა

ტექნოლოგია, რომელიც რეალურ დროში აკონტროლებს ზონების მდგომარეობას და შესაძლო დარღვევებს.

უსაფრთხოების ზონების რუკა

სივრცითი სქემა, რომელიც ასახავს ზონების გეოგრაფიულ განლაგებას, საზღვრებს და უსაფრთხოების ზომებს.

უსაფრთხოების ზონირება

ობიექტის დაყოფის პროცესი უსაფრთხოების დონის მიხედვით სხვადასხვა ზონებად, რისკების ოპტიმალური მართვის მიზნით.

უსაფრთხოების ზონის საფრთხის ანალიზი

შეფასება, რომელიც ადგენს პოტენციურ საფრთხეებს თითოეული ზონისთვის და განსაზღვრავს შესაბამის დაცვით ზომებს.

უსაფრთხოების ინციდენტი – ნებისმიერი მოვლენა, რომელიც იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს უსაფრთხოების წესების დარღვევა, ზიანის მიყენება ან უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების დარღვევა, რაც საჭიროებს დროულ რეაგირებას და პრევენციულ ზომებს.

უსაფრთხოების კლასი – დაცვის ღონისძიებების, სისტემებისა და მოწყობილობების კლასიფიკაცია, რომელიც განისაზღვრება მათი ეფექტურობის, სანდოობის და გამოყენების ღონის შესაბამისად, უსაფრთხოების სხვადასხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

უსაფრთხოების კონტროლის სისტემა
სისტემის ელემენტების კომპლექტი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების ღონისძიებების შესრულების და ეფექტურობის მონიტორინგს.

უსაფრთხოების პანიკური საკეტი
სპეციალური მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა კარი გაიხსნას ერთი შეხებით შიგნიდან — განკუთვნილია პანიკის პირობებში სწრაფი გასვლის უზრუნველსაყოფად.

უსაფრთხოების პერსონალი
ფიზიკური პირები, რომლებიც მონაწილეობენ ობიექტების, ტერიტორიების, რესურსების და ადამიანების დაცვაში უსაფრთხოების სპეციალური სტანდარტების შესაბამისად.

უსაფრთხოების პერსონალის კატეგორიების სერტიფიცირება
სერტიფიცირების დონეები სხვადასხვა სპეციალიზაციისთვის — მცველი, ოპერატორი, სუპერვაიზერი, მენეჯერი.

უსაფრთხოების პერსონალის სავალდებულო მომზადება
ინსტრუქტაჟი და სპეციალიზებული სწავლება, რომელიც აუცილებელია პერსონალის პროფესიული კომპეტენციის და მოქმედების უნარების უზრუნველსაყოფად.

უსაფრთხოების პერსონალის საწყისი ტრენინგი
საწყისი ეტაპის პროგრამა, რომელიც მოიცავს ძირითადი უნარების სწავლას — ფიზიკური უსაფრთხოება, დაკვირვება, რეაგირება და კომუნიკაცია.

უსაფრთხოების პლატფორმების ღრუბლოვანი არქიტექტურა
სისტემების მიგრაცია ღრუბლოვან ინფრასტრუქტურაზე სწრაფი მასშტაბირების და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

უსაფრთხოების პოლიტიკა – ორგანიზაციის მიერ ოფიციალურად დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც ასახავს უსაფრთხოების საერთო პრინციპებს, მიზნებს და მიდგომებს, რათა უზრუნველყოს უსაფრთხოების პროცესების სისტემურობა და სანდოობა.

უსაფრთხოების პროტოკოლი – წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც აღწერს მოქმედებების თანმიმდევრობას და პრიორიტეტებს კონკრეტულ საფრთხეებზე რეაგირებისას, რათა უზრუნველყოს ეფექტური და კოორდინირებული უსაფრთხოების ღონისძიებები.

უსაფრთხოების სისტემების ბიუჯეტირება და ეკონომიკური ანალიზი

პროექტის ღირებულების და ეფექტიანობის ანალიზი საინვესტიციო გადაწყვეტილებების გასამყარებლად.

უსაფრთხოების სისტემების ენერგოეფექტურობის ზრდა

ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამისად ოპერირებადი სისტემების დანერგვა.

უსაფრთხოების სისტემების თვითგანახლება და თვითოპტიმიზაცია.

სისტემები,

რომლებიც ისწავლიან და ავტომატურად ახდენენ საკუთარ გაუმჯობესებას მუშაობის პროცესში."

უსაფრთხოების სისტემების პროექტირება

დაცვის სისტემების დიზაინის და ფუნქციური სქემების შექმნის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ობიექტის სპეციფიკას, საფრთხეებს და უსაფრთხოების მიზნებს.

უსაფრთხოების სისტემების სატესტო ექსპლუატაცია

დაცვის სისტემების წინასწარი ამუშავება ოპერაციულ რეჟიმზე გადასვლამდე, რათა გამოვლინდეს და გასწორდეს პოტენციური ხარვეზები.

უსაფრთხოების სისტემების ტექნიკური უზრუნველყოფა

დაგეგმილი და სისტემატური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის სისტემების გამართულ მუშაობას და განახლებას.

უსაფრთხოების სტანდარტი – ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დაცვითი სისტემების, მოწყობილობებისა და პროცესების მინიმალურ მოთხოვნებს, უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად და რისკების შემცირებისთვის.

უსაფრთხოების ტექნიკური რუკა – დოკუმენტურად შედგენილი სქემა, რომელიც ვიზუალურად ასახავს ობიექტის დაცვითი სისტემების განლაგებას, მათი მუშაობის პრინციპებს და უსაფრთხოების ზომების ინტეგრირებულ სტრუქტურას, რაც ხელს უწყობს ოპერატიულ მართვას და რისკების ეფექტურ შეფასებას.

უსაფრთხოების შეფასება – კომპლექსური პროცესი, რომლის მიზანია დაცვითი სისტემების ეფექტურობის და საერთო უსაფრთხოების მდგომარეობის ანალიზი, რისკების იდენტიფიკაცია და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების განსაზღვრა.

უფლებამოსილი პირი – ადამიანი, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება და შესაბამისი პასუხისმგებლობა დაცული ობიექტის ან დაცვის სისტემების მართვის, კონტროლის ან უსაფრთხოების პროცესებში მონაწილეობის შესახებ.

უფროსი მცველი — მორიგე ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ერთდროულად ასრულებს მოვალეობას დაცვის ერთ-ერთ პოსტზე.

ფარული ბარიერი

დაცვითი სისტემა, რომლის სამუშაო ველი ვიზუალურად მიუწვდომელია, მაგალითად, ინფრაწითელი ან რადიოტალღოვანი სისტემები. იგი უზრუნველყოფს პერიმეტრის ფარული და მაღალი დონის დაცვას.

ფარული განგაში

სიგნალიზაციის პულტზე განგაშის ფარული სიგნალის გადაცემა სპეციალური კოდის აკრებით საკონტროლო პანელზე (გახსნის პარალელურად იგზავნება განგაშის სიგნალიც)

ფარული პერიმეტრული დეტექცია – დეტექციის სისტემები, რომლებიც ვიზუალურად დამალულია და შექმნილია შეუმჩნეველი კონტროლის უზრუნველსაყოფად. ეს სისტემები ეფექტურად უზრუნველყოფენ დაცული ზონის უსაფრთხოებას, ფარულ მონიტორინგს და პოტენციური საფრთხეების დროულ იდენტიფიცირებას, ხოლო მათი არათვალსაჩინო დიზაინი უზრუნველყოფს სტრატეგიულ უპირატესობას.

ფარული შეღწევა – უნებართვო შეღწევის მეთოდი, რომელიც მოიცავს შენიღბულ და შეუმჩნეველ გზებს ობიექტზე შეღწევის მიზნით, რათა თავიდან აიცილოს გამოვლენა და უსაფრთხოების კონტროლი.

ფეთქებადსაშიშ ზონების ბარიერი

დამცავი სისტემა, რომელიც განკუთვნილია ფეთქებადსაშიშ ობიექტების პერიმეტრის უსაფრთხოებისთვის.

ფეთქებადსაშიშ ზონის დეტექტორი – სპეციალიზებული სენსორი, რომელიც იყენებს მიკროტალღურ ან ქიმიურ ტექნოლოგიებს ფეთქებადსაშიშ გარემოს ან ნივთიერებების აღმოჩენის მიზნით. ამ სისტემის მიზანია უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა, საფრთხის დროული იდენტიფიკაცია და პრევენციული ზომების სწრაფი განხორციელება.

ფიზიკური დაბრკოლება – საინჟინრო-ტექნიკური საშუალება, როგორიცაა ღობე, კედელი ან ბარიერი, რომელიც მიზნად ისახავს ობიექტზე უნებართვო წვდომის შეზღუდვას ან შეფერხებას, უსაფრთხოების დონის გაძლიერების მიზნით.

ფიზიკური დაბრკოლების ინტელექტუალური მართვა – სისტემა, რომელიც შექმნილია ფიზიკური ბარიერების ავტომატურად კონტროლისა და ოპტიმიზაციისთვის, საფრთხის დონის ცვლილების შესაბამისად. მისი მიზანია უზრუნველყოფა ეფექტური და დინამიური დაცვის, რაც მაქსიმალურად აუმჯობესებს უსაფრთხოების სისტემის რეაგირების სიზუსტეს და ოპერაციულ მოქნილობას.

ფიზიკური დაცვა — დაცვის მომსახურების სახე, რომელიც მოიცავს განსაკუთრებულ ზომებს, მიმართულია პიროვნების, ქონებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სანქცირებული შეზღუდვის, დაცული უფლებების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის, აგრეთვე საგანგებო სიტუაციებზე (მათ შორის: ავარიები, ხანძრები და სტიქიური უბედურებები) რეაგირების მიზნით.

ფიზიკური დაცვის გეგმა

დეტალურად ჩამოყალიბებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის დაცვითი ღონისძიებების სტრუქტურას, პასუხისმგებლობას და ოპერაციულ პრინციპებს.

ფიზიკური დაცვის გეგმის პერიოდული გადახედვა

რეგულარული პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ახალი რისკების, ინფრასტრუქტურული ცვლილებების და ოპერატიული გამოცდილების მიხედვით დაცვის გეგმის განახლებას.

ფიზიკური ზემოქმედება – ძალოვანი ან მექანიკური მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ობიექტზე ან პირზე ზემოქმედებას, იწვევს დაზიანებას ან ზიანს და საჭიროებს უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფას.

ფიზიკური უსაფრთხოების სტანდარტები ობიექტებზე

სავალდებულო ტექნიკური სტანდარტები პერიმეტრის, დაშვების, სიგნალიზაციის და სხვა უსაფრთხოების კომპონენტებისთვის.

ფიზიკური შემოწმება (Site Inspection)

ობიექტზე ვიზუალური შემოწმება პერიმეტრის, დაშვების პუნქტების, სიგნალიზაციის სისტემების და სხვა ინფრასტრუქტურის.

ფიქსირებული ვიდეო კამერა

კამერა, რომლის ხედვის კუთხე და მდებარეობა ფიქსირებულია და არ იცვლება ოპერაციის პროცესში.

ფორმატი MJPEG

ვიდეოს გადაცემის და შენახვის ფორმატი, რომელიც შედგება ცალკეული შეკუმშული JPEG კადრების სერიიდან.

ფუნქციონალური ტესტირება

უსაფრთხოების სისტემის ყველა კომპონენტის (სიგნალიზაცია, ვიდეო თვალთვალი, დაშვების კონტროლი) სრულფასოვანი ტესტირება.

ფუნქციონირება – დაცვის (უსაფრთხოების) ტექნიკური საშუალების (სისტემის) მუშაობის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მის ფუნქციების სრულყოფილად შესრულებას, უწყვეტობის და ეფექტურობის შენარჩუნებით.

ქიმიური საფრთხის დეტექტორი – სენსორი, რომელიც განკუთვნილია ქიმიური

ნივთიერებების გაჟონვის ან გავრცელების აღმოჩენისათვის დაცულ ზონაში. იგი აქტიურად იდენტიფიცირებს საფრთხეებს, ხელს უწყობს დროულ პრევენციულ მოქმედებებს და უზრუნველყოფს უსაფრთხოების დონის მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.

ქსელური ვიდეო ჩამწერი (NVR)

მოწყობილობა, რომელიც იღებს და ინახავს IP კამერებიდან გადმოცემულ ციფრულ ვიდეო ს.

დამის ხედვის ტექნოლოგია

სპეციალური ინფრაწითელი ან თერმული ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ვიდეოს ჩაწერას დაბალ განათების პირობებში ან სრული სიბნელის პირობებში.

ღობე

ფიზიკური ბარიერი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის საზღვრებს და ზღუდავს წვდომას.

დრუბლოვანი ვიდეო შენახვა (Cloud Storage)

ვიდეო მონაცემების შენახვა დისტანციურ სერვერებზე, რაც იძლევა წვდომის მოქნილობას და მონაცემთა დაცვის დამატებით დონეს.

დრუბლოვანი უსაფრთხოების პლატფორმები (Cloud Security Platforms)

სისტემები, რომლებიც იყენებენ დრუბლოვან ინფრასტრუქტურას მონაცემების შენახვის, დამუშავების და დაცვისათვის.

შეზღუდული ზონა – ტერიტორია, რომლის წვდომა ნებადართულია მხოლოდ განსაზღვრული პირებისთვის, სპეციალური დაშვების ან უფლებამოსილების საფუძველზე, უსაფრთხოების წესების დაცვით.

შეზღუდული წვდომის სისტემა – ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს წვდომის შეზღუდვას მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის, უსაფრთხოების წესების დაცვით.

შეიარაღება

კანონით ნებადართული ყველა სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღისა და დაცვის საშუალებების ერთობლიობა.

შემოწმების წერტილი – კონკრეტული ადგილი დაცულ ზონაში, სადაც ხორციელდება პიროვნების ან ობიექტის კონტროლი დაშვების ან გასვლის პროცესში, უსაფრთხოების მოთხოვნების მიხედვით.

შესასვლელი ზონა

კარები და ღიობები, საიდანაც შესაძლებელია (თუნდაც თეორიულად) დაცულ ობიექტში შეღწევა გარედან.

შესასვლელი ზონა

კარები და ღიობები, საიდანაც შესაძლებელია (თუნდაც თეორიულად) დაცულ ობიექტში შეღწევა გარედან.

შესვლის კონტროლი – პროცესი, რომლის დროსაც ხდება ობიექტზე შესვლის უფლებამოსილების შემოწმება და ნებართვა, უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით.

შესვლის წერტილი – კონკრეტული ადგილი ან საშუალება, სადაც ფიზიკური ან ლოგიკური დაშვება ხორციელდება დაცულ სივრცეში, კონტროლისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით.

შესვლის/გამოსვლის რეჟიმი — დაცვის მომსახურების მომხმარებლის მიერ დაწესებული წესრიგი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, დამტკიცებულია შიდა წესებითა და ინსტრუქციებით, ცნობილია პერსონალისთვის (ხელმოწერით დადასტურებული) და ობიექტის ვიზიტორებისთვის (შესაბამისი საინფორმაციო განცხადებებით), ეხება მოქალაქეების გავლას დაცულ ტერიტორიაზე, გამორიცხავს პირების უკონტროლო შესვლას (გამოსვლას), სატრანსპორტო საშუალებების შემოსვლას (გამოსვლას), ქონებისა და სამსახურებრივი დოკუმენტების შეტანას (გატანას), შემოტანას (გამოტანას).

შეტყობინებების გადაცემის სისტემა

სისტემა, რომელიც გამოიყენება საგანგაშო სიგნალიზაციის ერთ ან რამდენიმე სისტემას შორის ინფორმაციის გადასაცემად.

შეყოვნებული სიგნალი - სიტუაცია, როდესაც განგაშის სიგნალი ვერ აღწევს მიმღებ ცენტრში შესაბამისი დროში, რაც ზრდის რეაგირების დაგვიანების რისკს.

შიდა ზონების გაძლიერების პროცედურა

პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს შიდა პერიმეტრის დაცვითი მექანიზმების გაძლიერების სტრატეგიას კრიზისული სიტუაციების დროს.

შიდა პოსტი — დაცვის პოსტი, რომელიც განთავსებულია დაცული ტერიტორიის შიგნით.

შიდა სივრცის დაცვა – ღონისძიებებისა და ტექნიკური საშუალებების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის შიდა ტერიტორიების უსაფრთხოებას, არასანქცირებული წვდომის პრევენციით და დაცვის შესაბამისი ზომების გამოყენებით.

შოკური არმირებული კარიბჭე

დამცავი კარიბჭე, რომელიც გამძლეა სატრანსპორტო შეტევების და ფიზიკური ძალადობის მიმართ.

შოკური ღობე

ელექტრო ძაბვაზე დაფუძნებული ღობე, რომელიც არეგულირებს შეღწევას ელექტრული იმპულსების გამოყენებით.

შრომითი უსაფრთხოების რეგულაციები

შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობა, რომელიც ვრცელდება დაცვის პერსონალის ფიზიკურ უსაფრთხოებაზე სამუშაო დროს.

შუალედური მოწყობილობა

ავტომატური დისტანციური ცენტრი, სადაც განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია პერსონალის ყოფნა, ინფორმაციის შეგროვებისა და მისი გადაცემის მიზნით.

შუალედური პუნქტი

პუნქტი, რომელიც განკუთვნილია რეტრანსლატორის დასაყენებლად დაცულ ობიექტსა და ბოლო მოწყობილობის პულტს შორის.

შუშის გატეხვის დეტექტორი - მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს შუშის დარტყმის ან გატეხვის ხმოვან და ვიზუალურ სიგნალებს.

ჩამკეტი ბარიერი (Road Blocker)

მძლავრი მიწიდან ამოსაწევი ბარიერი, რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების შეღწევის შესაჩერებლად.

ცენტრალიზებული დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემები

ცენტრალიზებული დაცვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტებიდან განგაშის სიგნალების მიღებას, დამუშავებას და რეაგირების ორგანიზებას.

ცენტრალიზებული დაკვირვების პულტი — ტექნიკური აღჭურვილობის კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია დაცული ობიექტებიდან, სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის ტექნიკური დაცვის სისტემებიდან, საკონტროლო მოწყობილობებიდან და სიგნალიზაციის სისტემებიდან, რეალურ დროში შემოსული ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გადაცემისთვის.

ცენტრალიზებული დაცვა – გეოგრაფიულად დაშორებული ობიექტების დაცვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ცენტრალიზებული დაცვის პუნქტების საშუალებით, რათა მოხდეს კონტროლი და კოორდინირებული რეაგირება პოტენციურ საფრთხეებზე. ობიექტებისა და ქონების დაცვა დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომელთა სიგნალები გადაეცემა ცენტრალიზებულ სადამკვირვებლო პუნქტზე.

ცენტრალიზებული დაცვის პულტი — დაცვის სტრუქტურის ობიექტი, სადაც გროვდება ყველა განგაშისა და ტექნიკური ინფორმაცია დისტანციური ობიექტების საგანგაშო სიგნალიზაციებიდან. მიღებული სიგნალების საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება დაკავების ჯგუფის გაგზავნის ან ტექნიკურ სამსახურში განაცხადის გადაცემის შესახებ.

ცენტრალიზებული დაცვის პუნქტი

დისპეტჩერული პუნქტი, რომელიც იცავს რამდენიმე ობიექტს შეღწევის ან ხანძრისგან.

ცენტრალიზებული მრავალ სენსორული მართვის სისტემა – პლატფორმა, რომელიც შექმნილია მრავალგვარ სენსორულ სისტემათა ერთიან მართვაში გასაერთიანებლად. მისი მიზანია უსაფრთხოების ეფექტიანობის გაუმჯობესება, მონაცემთა მუდმივი სინქრონიზაცია და საფრთხეების სწრაფი იდენტიფიცირება მრავალფეროვანი სენსორული ქსელის გამოყენებით.

ცენტრალიზებული სამეთვალყურეო პულტი (ცსპ)

ტექნიკური აღჭურვილობის კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სტაციონარული და მობილური ობიექტების რადიოდაცვას.

ცენტრალური დაცვის სიგნალიზაცია— ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მოიცავს: დაცული ობიექტიდან სხვადასხვა დეტექტორებისგან (სენსორებისგან) რადიო სიგნალების მონიტორინგსა და მიღებას პულტის ოპერატორის (დისპეტჩერის) მიერ; ინფორმაციის

დაუყოვნებლივ გადაცემას დაცვის მობილურ ჯგუფზე; ჯგუფის გამგზავრებას შემთხვევის ადგილზე „განგაშის“ სიგნალის მიზნის გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად, საშიში სიტუაციის ლოკალიზაციისა და დამრღვევთა დაკავების მიზნით.

ცენტრალური მონიტორინგის სისტემა

ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ობიექტებისგან მიღებულ სიგნალებს ერთიან მართვის ცენტრში.

ცილინდრული კამერა (Bullet Camera)

გრძელი ცილინდრული ფორმის კამერა, განკუთვნილი როგორც შიდა, ასევე გარე დაკვირვებისთვის.

ციფრული ვიდეო ჩამწერი (DVR)

მოწყობილობა, რომელიც იწერს ანალოგური ვიდეოს სიგნალს ციფრულ ფორმატში.

ცოცხალი დაცვა — ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ადამიანების ან ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

ორგანიზაციის ფუნქციისა და სტრუქტურის მიხედვით, ცოცხალი დაცვის ქვეშ იგულისხმება უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები — მცველი, პირადი დაცვის თანამშრომელი, დაცვის ინსპექტორი, ოპერატიული მორიგე.

ცრუ განგაში – დაცვის, სახანძრო ან საგანგებო სიგნალიზაციის ტექნიკური საშუალებებით წარმოქმნილი განგაშის შეტყობინება, რომელიც არ არის დაკავშირებული რეალურ კრიმინალურ საფრთხესთან, არამედ შეიძლება გამოწვეული იყოს ტექნიკური ხარვეზებით, გარემო ფაქტორებით ან შემთხვევითი აქტივაციით.

ცრუ განგაშის მართვა

სპეციალური პოლიტიკა და ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფს ცრუ განგაშების სწორ იდენტიფიკაციას და მინიმიზაციას.

ძალადობრივი შეღწევა - ფიზიკური ძალის გამოყენებით, მოტყუებით ან ტექნიკური საშუალებებით არასანქცირებული შეღწევის მცდელობა დაცულ ობიექტზე.

ძალის გამოყენების პრინციპები და შეზღუდვები

ტრენინგი, რომელიც ასწავლის ძალის გამოყენების დასაშვებ ფარგლებს და დოკუმენტირების პროცესს.

ძირითადი ელექტრომომარაგება – ელექტრომომარაგების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დაცვის ტექნიკური საშუალებების სტაბილურ და უწყვეტ მუშაობას სტანდარტულ რეჟიმში, ხელს უწყობს უსაფრთხოების სისტემების ოპერატიულობას და გამართულ ფუნქციონირებას.

ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები

დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ დაცვის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ პრინციპებს და სტანდარტებს.

წერტილოვანი დეტექტორი - დეტექტორი, რომელიც რეაგირებს კონკრეტულ ფიზიკურ წერტილზე ფიზიკური ცვლილების გამოვლენისას.

წვდომის ბლოკირება – ტექნიკური ან ორგანიზაციული ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს წვდომის დროებით ან სრულ შეზღუდვას, უსაფრთხოების პოლიტიკისა და კონტროლის მექანიზმების მიხედვით, არასანქცირებული წვდომის პრევენციის მიზნით.

წვდომის ზონების დიაგრამა

სქემა, რომელიც განსაზღვრავს ვინ, როდის და რა პირობებში შეიძლება მოხვდეს თითოეულ ზონაში.

წვდომის მართვის საშუალებები და სისტემები

ტექნიკური და პროგრამული კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების ან ობიექტის წვდომის რეგისტრაციას და მართვას.

წვდომის მართვისა და კონტროლის სისტემა — ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სუბიექტების შესვლის (გამოსვლის) და შემოსვლის (გამოსვლის) პროცესის შესახებ ინფორმაციის ავტომატურ წაკითხვას, განსაზღვრული შეზღუდვების შესაბამისად.

წვდომის მკაცრი კონტროლის სისტემა

ტექნოლოგიები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მხოლოდ უფლებამოსილი პერსონალის დაშვებას კრიტიკულ ზონებში.

წვდომის შეზღუდვის პროტოკოლი

წესების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს მკაცრ შეზღუდვებს კონკრეტული ზონების მიმართ, განსაკუთრებით კრიზისული სიტუაციებისას.

წყალმომარაგების სისტემების დაცვა

სისტემები, რომლებიც იცავენ წყალმომარაგების ობიექტებს (რეზერვუარები, მილსადენები, სადგურები) ნებართვის გარეშე წვდომის ან დაზიანებისგან.

ჭკვიანი დაცვის სისტემა (Smart Security System)

სისტემა, რომელიც იყენებს ინტელექტუალურ სენსორებს, მონაცემთა ანალიზს და ავტომატიზაციას უსაფრთხოების ღონისძიებების ოპტიმიზაციისთვის.

ჭკვიანი ღობეები (Smart Fences)

ღობეები, რომლებიც აღჭურვილია სენსორებით და რეალურ დროში აფიქსირებენ ზემოქმედებას ან შეღწევის მცდელობას.

ხარვეზების იდენტიფიკაცია და აღმოფხვრა

ტესტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი და შესწორება ოპერაციულ რეჟიმზე გადასვლამდე.

ხარვეზის შეტყობინება

სისტემის მიერ შექმნილი შეტყობინება გაუმართაობის შემთხვევაში.

ხაფანგი (დაცვის) — საგანგაშო მოწყობილობა, რომელიც ფარულად დგას: დაცული ობიექტის შიგნით, დამრღვევის მოძრაობის ყველაზე სავარაუდო მიმართულებაზე, რომელიც ბლოკავს მონაკვეთს, ზონას ან მოცულობას; ცალკეული ნივთის დასაბლოკად, რომელიც ხელს უშლის დამრღვევის განზრახვას (მაგალითად, სეიფის კარის წინ მდგარი სკამი) ან შეიძლება გახდეს კრიმინალური ქმედების სამიზნე (მაგალითად, გარკვეული ექსპონატი); შესაძლო შეღწევის ადგილების დასაბლოკად, როგორიცაა სარდაფები, სხვენები ან სხვა მიმდებარე, დაუცველი ოთახები.

ხელბორკილები

სპეციალური საშუალება, რომელიც განკუთვნილია დაკავებული პირების დასაფიქსირებლად.

ხელით მართვადი საგანგაშო სისტემა

საგანგაშო სისტემა, რომელიც არატექნიკური მეთოდით გადადის ნორმალური მდგომარეობიდან გათიშულ მდგომარეობაში და პირიქით.

ხელისშემშლელი ფაქტორებისადმი მდგრადობა – დაცვის (უსაფრთხოების) ტექნიკური საშუალების ან სისტემის უნარი, შეინარჩუნოს თავისი ფუნქციები და ოპერაციული ეფექტურობა ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობისას, როგორიცაა გარემო პირობები, ტექნიკური ხარვეზები ან არანორმალური დატვირთვები.

ხელისშემშლელი ფაქტორებისადმი მდგრადობის მაჩვენებელი – მნიშვნელობა, რომელიც ასახავს დაცვის (სახანძრო, საგანგებო) სიგნალიზაციის ტექნიკური საშუალების მუშაობის სტაბილურობას და მის უნარს შეინარჩუნოს ნორმალური ფუნქციონირება ხელისშემშლელი პირობების ზემოქმედებისას, რათა უზრუნველყოფილ იქნას უწყვეტი უსაფრთხოების კონტროლი.

ხელისშემშლელი ფაქტორი – გარე ან შიდა ზემოქმედება, რომელიც გავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს დაცვის ტექნიკური საშუალების მუშაობაზე. ეს შეიძლება იყოს ელექტრომაგნიტური, კლიმატური, მექანიკური, აკუსტიკური, თერმული, რადიაციული ან სხვა ტიპის ეფექტი, რომელიც იწვევს სისტემის სტაბილურობის დარღვევას ან ფუნქციონირების შეფერხებას.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პერიმეტრის დაცვაში

AI ტექნოლოგიების გამოყენება პერიმეტრის მონიტორინგისთვის და შეღწევების უფრო ზუსტი გამოვლენის მიზნით.

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია დაცვაში (AI Security Integration)

AI ალგორითმების გამოყენება საფრთხის პროგნოზირებისთვის, ანომალიების გამოვლენისა და რეაგირების ავტომატიზაციისთვის.

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია უსაფრთხოების სისტემებში

AI-ის გამოყენება საფრთხის პროგნოზირებისთვის, ანომალიების გამოვლენისთვის და გადაწყვეტილებების ავტომატიზაციისთვის.

ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე მომუშავე შედგენის პროგნოზირება
ტექნოლოგია, რომელიც აფასებს ქცევის პათერნებს და პროგნოზირებს პოტენციურ საფრთხეებს.

ხმოვანი გამაფრთხილებელი მოწყობილობა
მოწყობილობა, რომელიც გასცემს ხმოვან, არასიტყვიერ სიგნალებს.

ჯავშანჟილეტები
პირადი დაცვის საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია მცველის ცეცხლსასროლი და ცივი იარაღისგან დასაცავად.

ჯგუფური დაშვება
დაშვების ნებართვა, რომელიც ვრცელდება ერთდროულად რამდენიმე პირზე წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.